პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 41-ე წელი
№ 74 (11987)
ხუთშაბათი, 30 მარტი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

სკკპ ხელმძღვანელობით —
წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის —სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის

თეზისები

საქართველოს მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან თავიანთი ეროვნული დღესასწაულისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისათვის. ქართველი ხალხი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი თავისი ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეგებება მნიშვნელოვანი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ოთხი ათეული წელია აშენებენ ახალ საზოგადოებას ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად. ქართველი ხალხის თავდადებული შრომა, მისი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში ერთვის საბჭოთა კავშირის მშრომელების წარმატებათა საერთო ნაკადს, მშრომელებისა, რომლებმაც სკკპ ბრძნული ხელმძღვანელობით თვალსაჩინო გამარჯვებებს მიაღწიეს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში.

საქართველოს მშრომელთა ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი გეგმების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნისტური პარტია — ლენინის დიადი პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

ვ. ი. ლენინი, სკკპ დამაარსებელი და ბელადი, დაუცხრომლად ზრუნავდა პარტიული ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის მეფის რუსეთის ეროვნულ რაიონებში, წარმართავდა მათს ბრძოლას მშრომელთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მთელ პარტიასთან ერთად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით განვლეს ბრძოლის ძნელი და სახელოვანი გზა. ისინი განმტკიცდნენ და გამოიბრძმედნენ სამი რევოლუციის — რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. მან მსოფლიოს ყველა ხალხს დაუსახა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზა. რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ძალაუფლება დროებით ხელთ იგდო მენშევიკების კონტრრევოლუციურმა პარტიამ, ისევე როგორც სომხეთში — დაშნაკების პარტიამ, აზერბაიჯანში — მუსავატელების პარტიამ. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები უძნელეს პირობებში ჩაუდგნენ სათავეში მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მენშევიკების — ბურჟუაზიის მოსყიდული ლაქიების, სამშობლოს საზიზღარი მოღალატეების — ბატონობის წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ ბრძოლაში იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ. გაძლიერდა მათი გავლენა მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასებზე. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ცალკეული პარტიული ორგანიზაციების გასაერთიანებლად და საქართველოს კომუნისტური პარტიის შესაქმნელად. 1920 წლის მაისში საქართველოს კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპის საფუძველზე აგებული რკპ (ბ) შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის, შექმნა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტია პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის, მამაცი წითელი არმიის დახმარებით დაამხეს საძულველი მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. ამ ისტორიულმა გამარჯვებამ განსაზღვრა ძირეული მობრუნება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ერთგულად იცავს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებას, განუხრელად ახორციელებს ლენინის დიად წინასწარდასახულობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეაკავშირა თავის გარშემო რესპუბლიკის მშრომელი მასები და მოკლე ისტორიულ ვადაში დიდი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში. საქართველო, რომელიც მეფის რუსეთის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა კუთხე იყო, დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკა გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაუშალა განვითარების უმდიდრესი პერსპექტივები და განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. განვლილ ოთხ ათეულ წელიწადში აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა საქართველოს სხვა ხალხებთან მჭიდრო ერთიანობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით განახორციელეს ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, მოიპოვეს დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ქართველი ხალხი, კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული დიდი ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული, კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებს ორმოცი წლის გმირული ბრძოლისა და შრომის შედეგებს. საქართველოს სსრ ყველა წარმატება, მიღწეული საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შედეგია ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის განხორციელებისა, იმ მუდმივი ურთიერთდახმარებისა, რომელსაც სსრ კავშირის ხალხები უწევენ ერთმანეთს, და პირველ რიგში შედეგია დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებისა.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თავდადებულად იბრძვიან სკკპ XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიადი შვიდწლიანი გეგმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1961 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სკკპ XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის.

I

ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმოშობა საქართველოში. ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის

1. საქართველოს მშრომელთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლება, რაც მიღწეულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასისა და გლეხობის მრავალი წლის დაძაბული რევოლუციური ბრძოლის შედეგად, მომზადებული იყო ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით.

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის დამდეგს საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს, ქართველმა ხალხმა, სამუდამოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს, დაიცვა თავი უცხოელთა მუდმივი დამღუპველი თავდასხმებისაგან და ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან. რუსეთთან საქართველოს შეერთებას, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ხელს უწყობდა საქართველოს სამეურნეო-კულტურულ განვითარებას, ქართველი ხალხის დაახლოებას დიდ რუს ხალხთან და რუსეთის სხვა ხალხებთან.

კაპიტალიზმის განვითარების შედეგად საქართველოში ყალიბდება თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მშრომელთა ისტორიულ ბრძოლას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის წარმოშობით ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში.

კაპიტალიზმის განვითარების შედარებით სწრაფი ტემპის მიუხედავად, საქართველო XIX საუკუნის დამლევისათვის მეფის რუსეთის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი განაპირა კუთხე იყო. საქართველოს მუშათა და გლეხთა მუშაობისა და ყოფაცხოვრების პირობები კიდევ უფრო ცუდი იყო, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ რაიონებში. მძიმე მდგომარეობას აძლიერებდა ეროვნული ჩაგვრა, მეფის მთავრობისა და მის ადგილობრივ ხელისუფალთა კოლონიზატორული პოლიტიკა.

უსასტიკესი ექსპლოატაცია, ქანცგამწყვეტი, აუტანელი შრომა, მძიმე მატერიალური პირობები, პოლიტიკური უუფლებობა აღვიძებდა საქართველოს მშრომელებში იმის შეგნებას, რომ საჭირო იყო ბრძოლა ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს გადაუარა გაფიცვების ტალღამ. ეს გაფიცვები, რომლებსაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მუშების დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა მოძრაობის განვითარებაში. მომზადდა პირობები პროლეტარიატის ორგანიზებული მასობრივი ბრძოლისათვის. საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო. პროლეტარიატის წარმატებითი ბრძოლისათვის საჭირო იყო რევოლუციური თეორიით შეიარაღებული მოწინავე მუშების პოლიტიკური ორგანიზაცია. საჭირო იყო მარქსისტული პარტია.

2. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში 90-იანი წლების დამდეგიდან იწყება.

პირველი მარქსისტული ორგანიზაცია საქართველოში იყო „მესამე დასის“ ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 1893 წელს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გავლენით. „მესამე დასისაგან“ დამოუკიდებლად შეიქმნა სხვა მარქსისტული წრეები და ჯგუფებიც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რუსეთის მუშათა ცენტრების მარქსისტულ წრეებთან და თავიანთ მუშაობაში ფართოდ იყენებდნენ მათს გამოცდილებას.

„მესამე დასი“ იდეურად ერთგვაროვანი არ ყოფილა. მისი რევოლუციური ბირთვი ე. ნინოშვილის, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძისა და სხვების მეთაურობით თანდათანობით დგებოდა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე.

საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბრძოლას მარქსისტული პარტიის შექმნისათვის რუსეთში და დასაბამი მისცა ახალ ეტაპს მარქსიზმისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებაში.

უკვე 90-იანი წლების შუახანებიდან ვ. ი. ლენინმა უშუალო ურთიერთობა დაამყარა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებთან.

საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ლენინურმა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“.

90-იანი წლების დამლევს „მესამე დასში“ ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატთა რევოლუციური ფრთა, რომლის ბირთვსაც შეადგენდნენ ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, ვ. სტურუა, გ. თელია და სხვ.

სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ბირთვის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი, რომელიც „მესამე დასში“ შევიდა 1898 წელს და მალე გახდა საქართველოს და მთლიანად ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამოჩენილი მოღვაწე.

სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ფრთა მარქსიზმის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა, რაზმავდა მუშებს, იბრძოდა ლიბერალური ხალხოსნების, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ფრთისა, რომელიც „კლასთა ჰარმონიის“ ბურჟუაზიული თეორიის პოზიციებზე იდგა და ლეგალური მარქსიზმისაკენ იხრებოდა.

„მესამე დასის“ რევოლუციური ფრთის საქმიანობამ დასაბამი მისცა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნასა და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობაში დიდი როლი შეასრულეს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც იმ დროს საქართველოში იყვნენ: თ. აფანასიევმა, ს. ალილუევმა, ნ. კოზერენკომ, გ. ფრანჩესკიმ და სხვებმა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვალსაჩინო რუსი სოციალ-დემოკრატების ვ. კურნატოვსკისა და მ. კალინინის მოღვაწეობას, რომლებიც მეფის მთავრობამ საქართველოში გადმოასახლა.

3. 1898 წელს სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და „მესამე დასის“ ჯგუფის წარმომადგენელთაგან შეიქმნა რსდმპ თბილისის კომიტეტი. ამრიგად, შეიქმნა საერთო საქალაქო პრაქტიკული ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლას. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა რკინიგზელთა დიდი გაფიცვა 1898 წლის დეკემბერში და გრანდიოზული გაფიცვა თბილისში 1900 წლის აგვისტოში. ამ გაფიცვებით აღინიშნა მასობრივი მუშათა მოძრაობის დასაწყისი და სტიქიურობიდან ორგანიზებულ ბრძოლაზე გადასვლა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გავლენის ზრდა მუშათა მოძრაობაზე მკაფიოდ გამოვლინდა აგრეთვე თბილისის მუშათა დიდი საპირველმაისო დემონსტრაციით 1901 წელს. ლენინურმა „ისკრამ“ მაღალი შეფასება მისცა დემონსტრაციას და უწოდა მას „მთელი კავკასიისათვის ისტორიული მნიშვნელობის“ მოვლენა, პირველი აშკარა რევოლუციური გამოსვლა კავკასიაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ბათუმის ცნობილ დემონსტრაციას 1902 წლის მარტში.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საქართველოში იქმნებოდა და მტკიცდებოდა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

4. საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ და იდეურ განმტკიცებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ლენინურმა „ისკრამ“, რომელიც 1900 წლის დეკემბერში გამოვიდა. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რევოლუციური ფრთა საქართველოში მტკიცედ დაადგა „ისკრის“ პოზიციას. 1901 წლის სექტემბერში, რსდმპ თბილისის კომიტეტის ინიციატივით, ბაქოში ქართულ ენაზე გამოვიდა პირველი ლენინურ-ისკრული გაზეთი ამიერკავკასიაში „ბრძოლა“, რომელმაც დასაბამი მისცა არალეგალურ რევოლუციურ-მარქსისტულ პრესას ამიერკავკასიაში.

1901 — 1902 წლებში საქართველოს ბევრ რაიონში შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ჯგუფები.

რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაფართოებისა და ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირების ინტერესები მოითხოვდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებას. 1903 წლის მარტში თბილისში გაიმართა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ რსდმპ თბილისის, ბაქოს, ბათუმის კომიტეტების, ქუთაისის, ჭიათურის, ოზურგეთის (მახარაძის), გორის, მიხაილოვოს (ხაშურის) ჯგუფების დელეგატები. ყრილობაზე ჩამოყალიბდა რსდმპ კავკასიის კავშირი და არჩეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ბ. კნუნიანცი, მ. ბოჭორიძე და სხვ. ამ კომიტეტში სხვადასხვა დროს შედიოდნენ აგრეთვე ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ვ. ბობროვსკი, მ. დავითაშვილი. კავკასიის კავშირის კომიტეტი ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მებრძოლი, ხელმძღვანელი ცენტრი გახდა. კავშირის კომიტეტის ორგანო — გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ იბეჭდებოდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ცნობილ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, იგი გამოდიოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე და ფართო პროპაგანდას უწევდა ლენინური „ისკრის“ პროგრამულ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ პრინციპებს. გაზეთმა დიდი როლი შეასრულა მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდასა და შეკავშირებაში.

5. რსდმპ მეორე ყრილობამ, რომელიც 1903 წლის ივლისში შეიკრიბა, დასაბამი მისცა ბოლშევიკების მებრძოლი რევოლუციური მარქსისტული პარტიის, სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის არსებობას. ეს იყო მობრუნების პუნქტი რუსეთის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ვ. ი. ლენინი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიაში ბოლშევიკების მოღვაწეობას, იწონებდა მათს მტკიცე ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ, აძლევდა რჩევასა და მითითებებს. „დაე კავკასიელი ამხანაგები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ“ (თხზ., ტ. 34, გვ. 195).

ამხილებდნენ რა ქართველი მენშევიკების ოპორტუნიზმს, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მზარდ რევოლუციურ მოძრაობას. ისინი ხელმძღვანელობდნენ მუშათა მასობრივ გაფიცვებსა და პოლიტიკურ დემონსტრაციებს. 1903 წლის 14 ივლისს თბილისში დაიწყო მუშათა დიდი გაფიცვა, რომელიც გამოცხადდა სამხრეთ რუსეთის საყოველთაო გაფიცვის მხარდასაჭერად. გაფიცვა მთელ საქართველოს მოედო. „ბაქოს შემდეგ თბილისი, თბილისის შემდეგ კიევი, კიევის შემდეგ ელიზავეტგრადი, ბოლოს, ოდესა. სამხრეთის მუშათა გრანდიოზული აჯანყება არის მოვლენა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის“, — წერდა „ისკრა“.

6. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც რუსეთის მთელი პროლეტარიატის მხარდამხარ გამოდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ბევრი გმირული ფურცელი ჩაწერეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში ედგნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, პ. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, გ. ორჯონიკიძე, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე და სხვა თვალსაჩინო პარტიული მოღვაწეები, თანმიმდევრულად და წარმატებით იბრძოდნენ, რათა განეხორციელებინათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის რევოლუციური ძალების შეკავშირების ლენინური ტაქტიკა.

როცა საქართველოში მოვიდა იმ შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედების ამბავი, რაც ჩაიდინა მეფის მთავრობამ, რომელმაც 9 იანვარს ათასობით მუშა დახვრიტა ზამთრის სასახლესთან პეტერბურგში, საქართველოს მუშათა კლასი დაირაზმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელთა გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებიც ბევრ ადგილას პოლიციასა და ჯარებთან შეიარაღებულ შეტაკებად გადაიზარდა, მოედო თბილისს, ბათუმს, ჭიათურას, სოხუმსა და სხვა ქალაქებსა და მუშათა დაბებს.

1905 წელს საქართველოს თითქმის მთელი გლეხობა დაირაზმა ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ვ. ი. ლენინმა ეს მოძრაობა დაახასიათა როგორც გლეხთა ყველაზე მოწინავე მოძრაობა. რევოლუციური ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, მუშათა და გლეხთა ინიციატივით, ყველგან იქმნებოდა საგაფიცვო კომიტეტები და გლეხთა კომიტეტები, რომლებიც მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ჩანასახი იყო. ფართო გაქანება მიიღო რევოლუციურმა გამოსვლებმა ჯარებში.

ულმობლად ამხილებდნენ რა მენშევიკების გამთიშველ პოლიტიკასა და ოპორტუნიზმს, რომლებიც უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას რევოლუციაში, საქართველოს ბოლშევიკები, მოქმედებდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, აქტიურად მონაწილეობდნენ მუშაობაში რსდმპ III ყრილობის მოსაწვევად, რომელიც გაიმართა 1905 წლის აპრილში. ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს და მთელი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას. ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა კავკასიის მდგომარეობის შესახებ აღნიშნა, რომ „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“ (თხზ., ტ. 8, გვ. 497).

შემოდგომაზე, როცა მთელი რუსეთი მოიცვა საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა, საქართველოს გმირი მუშათა კლასი, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ქმნიდა მებრძოლ რაზმებს, რომლებიც თავდადებულ ბრძოლას ეწეოდნენ მეფის ჯარებისა და პოლიციის წინააღმდეგ.

რევოლუციის უმაღლესი წერტილი იყო დეკემბრის

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

(გაგრძელება)

თეზისები

შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში. მოსკოვის პროლეტარიატის ბრძოლას მხარი დაუჭირეს საქართველოს მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა. საქართველოს ბევრ ქალაქში გააფთრებული საბარიკადო ბრძოლები წარმოებდა თვითმპყრობელობის სადამსჯელო რაზმების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გააფთრებულ ხასიათს ატარებდა ბრძოლები თბილისში, სადაც მუშათა რაიონებში — ნაძალადევსა და დიდუბეში — რამდენიმე დღეს წარმოებდა მუშათა რაზმების სისხლისმღვრელი შეტაკებანი ჯარებთან. ვ. ი. ლენინმა საქართველო და მთელი ამიერკავკასია იმ მხარეთა რიცხვს მიაკუთვნა, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“ (თხზ., ტ. 10, გვ. 127).

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რევოლუციის შენელება, მაგრამ რევოლუციური ბრძოლა გრძელდებოდა. დამსჯელი ექსპედიციებისა და საველე სასამართლოების თარეშის უძნელეს პირობებში ბოლშევიკები სათავეში უდგნენ მუშების საგაფიცვო ბრძოლას, განამტკიცებდნენ პროფესიულ კავშირებს, განაგრძობდნენ თავიანთი გაზეთების გამოშვებას, ამხილებდნენ რევოლუციის მოღალატეებს — მენშევიკებს და რაზმავდნენ მასებს რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგების გარშემო. საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა ბრძოლებით იხევდნენ უკან.

1905-1907 წლების რევოლუცია, მიუხედავად დამარცხებისა, უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მან შეგნებული რევოლუციური შემოქმედებისათვის დარაზმა რუსეთის ხალხის უფართოესი მასები და პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება შესძინა მათ.

7. რეაქციის (1907-1910 წწ.) შავბნელ წლებში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა ჯურის რენეგატებთან და გადაგვარებულებთან — მენშევიკ-ლიკვიდატორებთან, ოტზოვისტებთან, ტროცკისტებთან და პარტიის სხვა აშკარა და შენიღბულ მტრებთან, რომლებიც ცდილობდნენ დაენგრიათ არალეგალური მარქსისტული პარტია, სახელი გაეტეხათ მისთვის მუშათა კლასის თვალში.

რეაქციის უძნელეს პირობებში საქართველოს ბოლშევიკები მტკიცედ იდგნენ ლენინურ პოზიციებზე, აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა ჯურის რევიზიონისტთა წინააღმდეგ.

სტოლიპინის რეაქციის მკაცრ წლებში საქართველოს ბოლშევიკებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ არალეგალური ორგანიზაციები და დარაზმულნი შეხვდროდნენ რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობას.

8. 1910 წელი აღინიშნა მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ახალი გაძლიერებით. დაიწყო რევოლუციური აღმავლობა. საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიას მოედო გაფიცვების ტალღა. საქართველოს მუშათა კლასი მრისხანე პროტესტს აცხადებდა ლენის საბადოებზე 1912 წლის აპრილში მუშების ავაზაკური დახვრეტის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო გაფიცვებმა 1914 წლის პირველ ნახევარში, როცა საქართველოს ათეულ ათასობით მუშა გაიფიცა პეტერბურგის, ბაქოს და სხვა ქალაქების მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პრაღის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის ბრძოლაში. თბილისში გაიმართა კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის თათბირები. ამ კომისიას ვ. ი. ლენინის დავალებით მეთაურობდა გ. კ. ორჯონიკიძე. პრაღის კონფერენციამ შეაჯამა მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის მთელი ისტორიული ეპოქის შედეგები და განამტკიცა ბოლშევიკების გამარჯვება.

ამ პერიოდში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ — გაზეთმა „პრავდამ“. იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს მუშებში, რომლებსაც ის თავიანთ გაზეთად მიაჩნდათ, უგზავნიდნენ წერილებს, უწევდნენ მატერიალურ დახმარებას.

რევოლუციური აღმავლობის წლებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ეროვნულ საკითხს. ეროვნულ საკითხზე პარტიის პროგრამისა და პოლიტიკის დამუშავებაში უდიდესი დამსახურება ეკუთვნის ვ. ი. ლენინს, რომელმაც ამ საკითხს მიუძღვნა მთელი რიგი ფუძემდებელი ნაშრომები: „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“, „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და სხვები. მარქსისტულ ლიტერატურაში ეროვნულ საკითხზე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ი. ბ. სტალინის ნაშრომმა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც ერთგულად იცავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის ლენინურ იდეებს, მრავალეროვან მუშათა კლასს ზრდიდნენ კლასობრივი ინტერესების ერთობის, ინტერნაციონალური ერთიანობის სულისკვეთებით, განამტკიცებდნენ მის კავშირს გმირ რუს პროლეტარიატთან. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თავიდანვე იქმნებოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. „ჩვენში და კავკასიაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ **წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან** ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“ (თხზ., ტ. 35, გვ. 76).

საქართველოს ბოლშევიკები გადაჭრით ამხილებდნენ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის ბურჟუაზიულ თეორიას, რომელსაც მენშევიკები იცავდნენ.

9. პირველ მსოფლიო ომში ბოლშევიკურმა პარტიამ ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე მარქსისტულ-ლენინურ დებულებათა შესაბამისად შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა იმისათვის, რომ გადაექცია იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად, დაემხო ცარიზმი და კაპიტალიზმი.

საქართველოს ბოლშევიკები, ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მოძღვრებით ომის, ზავისა და რევოლუციის შესახებ, შეურიგებლად იბრძოდნენ ქართველი მენშევიკ-ობორონცების, ნაციონალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და სხვა ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინს ომის წლებში გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან და ძვირფას მითითებებსა და რჩევას აძლევდა მათ. 1914 წლის ბოლოს, როცა თბილისში მიიღეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი თეზისები ომის შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი, საქართველოს ბოლშევიკებმა მოაწყეს ამ ლენინური დოკუმენტების ფართო პროპაგანდა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებათა გაერთიანებას მათს ერთობლივ ბრძოლაში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ხელი შეუწყო 1915 წლის ოქტომბერში ბაქოში გამართულმა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირმა, რომელმაც პარტიული კონფერენციის როლი შეასრულა. თათბირმა აირჩია რსდმპ კავკასიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ი. ფიოლეტოვი და სხვ.

ომის წლებში საქართველოს ბოლშევიკები წარმატებით ხელმძღვანელობდნენ მუშათა საგაფიცვო ბრძოლას, გლეხთა გამოსვლებს, აწარმოებდნენ რევოლუციურ პროპაგანდას კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებში, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, იბრძოდნენ ლენინური ლოზუნგისათვის, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადაექციათ.

10. 1917 წლის თებერვალში რუსეთში გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც დაამხო ცარიზმი და შექმნა კაპიტალიზმის ლიკვიდაციისა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარების შესაძლებლობა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებასა და თვითმპყრობელობის დამხობას საქართველოს მშრომლები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ხალხის მასებმა შექმნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები — პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოები. ისევე როგორც მთელ რუსეთში, საქართველოში დამყარდა ორხელისუფლებიანობა — მუშათა და გლეხთა ხელისუფლება საბჭოების ფორმით და ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის და დროებითი მთავრობის სხვა ადგილობრივი ორგანოების სახით. ისარგებლეს რა იმით, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები ძალიან დასუსტებული იყვნენ ცარიზმის რეპრესიების შედეგად, აგრეთვე იმით, რომ სამრეწველო პროლეტარიატი მცირერიცხოვანი იყო, რომ მშრომელთა ნაწილში არსებობდა წვრილბურჟუაზიული განწყობილება, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ადგილების დიდი უმრავლესობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა და ესერებმა.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ვ. ი. ლენინის ცნობილი აპრილის თეზისებითა და VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებებით, გააჩაღეს ბრძოლა იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ლენინური გეგმა.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური იდეების პროპაგანდაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ. 1917 წლის 11 მარტს გამოვიდა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ პირველი ნომერი. ეს იყო პირველი ბოლშევიკური გაზეთი ამიერკავკასიაში თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. უფრო გვიან დაიწყეს გამოსვლა გაზეთებმა „ბრძოლამ“ ქართულ ენაზე და „ბანვორი კრივმა“ („მუშის ბრძოლა“) სომხურ ენაზე.

პარტიის VI ყრილობამ აიღო შეიარაღებული აჯანყების კურსი. საქართველოს ბოლშევიკებმა თავიანთი მუშაობა ახალი პირობების შესაბამისად გარდაქმნეს. 1917 წლის ოქტომბრის დამდეგს პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ნიშნით თბილისში ჩატარდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა კავკასიის ბოლშევიკების ამოცანები ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ყრილობამ აირჩია პარტიის სამხარეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ი. ფიოლეტოვი, ს. ქავთარაძე, ა. მრავიანი და სხვ. უფრო გვიან სამხარეო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ა. მიქოიანი, მ. ორახელაშვილი, ვ. ნანეიშვილი და სხვ.

11. 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება — ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის საფუძველი, საფუძვლამდე დაანგრია ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო, სამუდამოდ მოსპო ეროვნული უთანასწორობა.

ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ საქართველოს მშრომლები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. დაიწყო ახალი ეტაპი ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლისა თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა მასებში. მაგრამ ამავე დროს კონტრრევოლუციური ძალებიც აქტიურდებოდნენ.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა, რომლებმაც ბლოკი შეკრეს, ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა და ამიერკავკასიაში მათი აგენტურის აქტიური მხარდაჭერით 1917 წლის დამლევს და 1918 წლის დამდეგს შეძლეს დაემყარებინათ ბურჟუაზიის დიქტატურა ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის სახით და დროებით მოეწყვიტათ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთისაგან. ამიერკავკასია გადაიქცა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ალექსანდრეს ბაღში დახვრიტეს მიტინგი და დაიწყეს მასობრივი რეპრესიები რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ, ბოლშევიკები გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე და გააჩაღეს მუშაობა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად, რათა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ.

კონტრრევოლუციონერების — ქართველი მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების — ბლოკმა დიდხანს ვერ იარსება. ბლოკს ღრღნიდა შინაგანი წინააღმდეგობანი, რის შედეგადაც 1918 წლის პირველ ნახევარში იგი დაიშალა და ამიერკავკასიაში შეიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკები.

II

საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

12. საქართველოში თითქმის სამ წელიწადს გრძელდებოდა ხალხის მოღალატეთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა — ქართველ მენშევიკთა ბატონობის პერიოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მშრომლები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით განსაკუთრებით მძიმე პირობებში დაძაბულ ბრძოლას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ეს ბრძოლა იყო შემადგენელი ნაწილი იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც რუსეთის მუშები და გლეხები ეწეოდნენ შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამოქალაქო ომის წლებში.

თავიანთი ბატონობის პერიოდში ქართველი მენშევიკები ყოველი ღონისძიებით იცავდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს, მათ მიწა მემამულეებსა და კულაკებს დაუტოვეს, მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად ამიერკავკასია ერთა შორის შეტაკებებისა და ძმათამკვლელი ომების ასპარეზად გადააქციეს.

მენშევიკთა ხელშეწყობით, რომლებმაც უღალატეს ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს ჯერ გერმანია-თურქეთის, შემდეგ კი — ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა. ოკუპანტები იტაცებდნენ საქართველოს სიმდიდრეებს, ახშობდნენ ხალხის მასების რევოლუციურ გამოსვლებს. მიუხედავად ამისა, მენშევიკები გაჰკიოდნენ საქართველოს „დამოუკიდებლობაზე“. სინამდვილეში კი „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ...“ (თხზ., ტ. 28, გვ. 7-8).

ოკუპანტთა თარეში და მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკა აძლიერებდა მშრომელთა უკმაყოფილებას. 1918 წელს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მთელ საქართველოს მოედო მუშათა გაფიცვები; ყველაზე დიდი იყო ტყიბულელ მეშახტეთა გაფიცვა, რომელიც დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდა. თითქმის მთელი საქართველო მოიცვა გლეხთა შეიარაღებული აჯანყებების ხანძარმა. ბევრ რაიონში დროებით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ახალი ძალით გაჩაღდა საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1919 წელს. ეს ბრძოლა აღინიშნა თბილისის კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საყოველთაო გაფიცვით, რომელსაც მხარი დაუჭირეს ქალაქის ყველა საწარმოს მუშებმა და რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით ბაქოსა და იმიერკასპიის მხარეში. სულ უფრო მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა მათს ბრძოლაში მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების წინააღმდეგ. 1919 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. მაგრამ ეს აჯანყება, რომელიც გულდასმით იყო მომზადებული და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე წლისთავისათვის იყო ნავარაუდევი, დამარცხდა. მენშევიკური მთავრობის კონტრდაზვერვამ შეიტყო აჯანყების მზადება და ინგლისელ ოკუპანტთა ხელშეწყობით დააპატიმრა სამხედრო-რევოლუციური შტაბი — აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი. მაგრამ, მიუხედავად დამარცხებისა, აჯანყებას საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სკოლა იყო, მოწმობდა საბჭოთა ხელისუფლების იდეის უდიდეს პოპულარობას, მენშევიკების პოზიციის შესუსტებას, ბოლშევიკების ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას.

საქართველოს მშრომელთა საგაფიცვო ბრძოლამ, გლეხთა აჯანყებებმა მოამზადა პირობები მენშევიკთა ბატონობის დასამხობად. ამ პროცესის დასაჩქარებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთის გადამწყვეტ გამარჯვებებს სამოქალაქო ომში. 1920 წლის დამდეგს ძლევამოსილმა წითელმა არმიამ გაანადგურა თეთრგვარდიელები, გაათავისუფლა ჩრდილოეთ კავკასია და მოუახლოვდა ამიერკავკასიის საზღვრებს. 1920 წლის აპრილის დამლევს ბაქოს გმირმა პროლეტარიატმა წითელი არმიის დახმარებით დაამხო მუსავატელთა ბატონობა და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წლის ნოემბერში სოციალისტურმა რევოლუციამ ამიერკავკასიაში კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა — საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სომხეთშიც.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ აზერბაიჯანსა და სომხეთში დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციური ძალების ზრდაზე საქართველოში. საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაიწყეს მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის ხალხის მოღალატეების — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

13. დენიკინის არმიის დამარცხებამ, იმპერიალისტ ინტერვენტთა განადგურებამ, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებამ, აგრეთვე მშრომელთა ზეგავლენამ აიძულა ქართველი მენშევიკები მოლაპარაკება დაეწყოთ საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან და 1920 წლის 7 მაისს ხელი მოეწერათ რუსეთის სფს რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულებაზე, რომლითაც მენშევიკურმა მთავრობამ ვალდებულება იკისრა მოეხდინა ბოლშევიკური ორგანიზაციის ლეგალიზაცია საქართველოში. საპატიმროებიდან გაათავისუფლეს ათასამდე კომუნისტი. ლეგალიზაცია შესაძლებლობას აძლევდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს უფრო ფართო მუშაობა გაეშალათ მასებში.

1920 წლის დამლევს ეკონომიურმა ნგრევამ მენშევიკურ საქართველოში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მეტი წილი ფაბრიკები და ქარხნები არ მუშაობდნენ. გაჩანაგებულმა სოფელმა თითქმის შეწყვიტა ქალაქის მომარაგება პროდუქტებით და, უწინარეს ყოვლისა, პურით. მენშევიკების პარტიის შიგნით რღვევა დაიწყო.

მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა აწრთობდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, აძლიერებდა მათს გავლენას მშრომელთა ფართო მასებში. მენშევიკთა განუწყვეტელი რეპრესიების მიუხედავად, ბოლშევიკების რიგები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მენშევიკთა ბატონობის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში პრაქტიკული ამოცანა გახდა. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოებას მასებთან. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომუნისტური პარტიების შექმნის შესახებ. კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო გ. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. ნაზარეტიანისა და სხვათა შემადგენლობით.

1920 წლის მაისში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა). შეიქმნა დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, ა. ნაზარეტიანი, ვ. სტურუა, ს. თოდრია და სხვ.

ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია პარტიის რიგების განსამტკიცებლად. აღდგენილ იქნა პარტიული უჯრედები. 1920 წლის 3 ივნისს გამოვიდა გაზეთი „კომუნისტი“ (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო). 1 ივლისიდან იგი გამოდიოდა რუსულ ენაზეც. საქართველოს კომუნისტური პარტია უნარიანად ახამებდა ბრძოლის ლეგალურ და არალეგალურ ფორმებს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მუშაობა გააჩაღა აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა. 22 მაისს შეიქმნა მისი დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

მალე მენშევიკებმა დაარღვიეს საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან. კვლავ დაიწყო სასტიკი რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ. ნოემბერში თბილისში მოწვეულმა არალეგალურმა პარტიულმა კონფერენციამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცებისათვის და აირჩია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ვ. ი. ლენინი შეუნელებლად ადევნებდა თვალყურს რევოლუციური ბრძოლის განვითარებას საქართველოში. იგი სისტემატურად იღებდა ინფორმაციას გ. ორჯონიკიძისაგან, ს. კიროვისაგან, ა. მიქოიანისაგან, ფ. მახარაძისა და სხვა ამხანაგებისაგან და თავისი რჩევა-დარიგებით და ხელმძღვანელი მითითებებით ყოველდღიურ დახმარებას უწევდა საქართველოს ბოლშევიკებს.

საქართველოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებაში, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად მებრძოლ მშრომელთათვის დახმარების გაწევაში დიდი როლი შეასრულა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ ს. მ. კიროვმა, რომელიც საქართველოში იყო 1920 წლის ივნისიდან სექტემბრამდე.

14. 1920 წლის დამლევისათვის მენშევიკური საქართველო ეკონომიური და პოლიტიკური კატასტროფის წინაშე იყო.

„საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია,— წერდა ი. ბ. სტალინი 1920 წლის ნოემბერში, — რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“ (თხზ., ტ. 4, გვ. 446—447).

ამ პირობებში ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენა საქართველოში განუწყვეტლივ იზრდებოდა. მათ უმრავლესობა მოიპოვეს ბევრ პროფკავშირში. ბოლშევიკებს უკვე მიემხრნენ მელითონეთა, ელექტრიკოსთა, მეტყავეთა, მკერავთა და მბეჭდავთა პროფკავშირები.

სწრაფად იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა ღარიბ გლეხთა შორისაც. გლეხობის გარევოლუციურებაში დიდი როლი შეასრულეს ყოფილმა ფრონტელმა ჯარისკაცებმა, რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ 1917-1919 წლებში მიჰყვებოდა ბოლშევიკებს და იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტია გაიზარდა მტკიცე, მასობრივ პარტიად. 1921 წლის დამდეგს მის რიგებში 9 ათასზე მეტი კომუნისტი იყო.

15. საქართველოს მშრომელები საკუთარი გამოცდილებით სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლებდნენ მიეღწიათ თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. მენშევიკთა ბატონობის დღეები დათვლილი იყო, ქვეყანაში შეიქმნა რევოლუციის გამარჯვების პირობები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ყველა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია საბრძოლველად იქნა გამზადებული. მუშათა და გლეხთა შეიარაღებული რაზმები მხოლოდ აჯანყების სიგნალს ელოდნენ. აჯანყება დაიწყო 1921 წლის 11 თებერვალს ღამით ბორჩალოს მაზრაში და სწრაფად მოედო საქართველოს უმეტეს ნაწილს. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, შ. ელიავა, ა. ნაზარეტიანი, ს. ქავთარაძე, ა. გეგეჭკორი და სხვები.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

(გაგრძელება)

თეზისები

აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ აჯანყებულებს მოუხდათ უთანასწორო ბრძოლა მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერდნენ უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამიტომ რევკომმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მუშებსა და გლეხებს დაეხმარა მამაცი მე-11 წითელი არმია. მენშევიკური არმიის ჯარისკაცები მასობრივად გადადიოდნენ აჯანყებული ხალხის მხარეზე. 25 თებერვალს აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი გაათავისუფლეს. იმავე დღეს გ. კ. ორჯონიკიძემ დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოში. 1921 წლის 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადებულ იქნა აფხაზეთში. 5 მარტს აჯანყებულებმა ცხინვალი (ქ. სტალინირი) გაათავისუფლეს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. 18 მარტს მენშევიკური მთავრობა განდევნილ იქნა უკანასკნელი თავშესაფრიდან — ბათუმიდან და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

საბჭოთა რუსეთის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას საქართველოში. „გადაეცით საქართველოს კომუნისტებსა და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“,— სწერდა ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს 1921 წლის 2 მარტს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლება. კონტრრევოლუციის პლაცდარმიდან, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, იგი გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად.

ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან მჭიდრო კავშირში, დაიწყო ახალი ცხოვრების შენება და მოკლე ისტორიულ ვადაში მიაღწია შესანიშნავ წარმატებებს სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში.

III

საქართველოს კომუნისტური პარტია რესპუბლიკის მშრომელთა ორგანიზატორია სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში

16. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მოხდა ძირეული მობრუნება ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — საქართველოს აღორძინებისა და მისი ყოველმხრივი განვითარების ერა, ღრმა რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებისა და სოციალისტური მშენებლობის ერა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს კომპარტიამ და რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობამ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით განახორციელეს უმნიშვნელოვანესი სოციალისტური გარდაქმნები. განხორციელდა მთელი მიწისა და მისი წიაღის, ბანკების, რკინიგზის ტრანსპორტის, სავაჭრო ფლოტის, მსხვილი (სამთამადნო, ლითონდასამუშავებელი და სხვ.) მრეწველობის ნაციონალიზაცია.

ამ რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებამ დასაბამი მისცა ახალ სოციალისტურ წყობას რესპუბლიკის ეკონომიკაში. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი იყო სახალხო მეურნეობის ყველა მბრძანებელი სიმაღლე, რამაც შექმნა ფართო შესაძლებლობანი საქართველოს საწარმოო ძალების სწრაფი განვითარებისათვის.

1921 წლის დამლევს და 1922 წლის დამდეგს მოეწყო არჩევნები მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებისა, რომლებმაც შეცვალეს რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში შექმნილი რევკომები.

17. დაამყარეს რა საბჭოთა ხელისუფლება, საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას.

სახალხო მეურნეობის აღდგენის რთული ამოცანის შესრულებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა წარმატებით ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკპ(ბ) X ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის და ეროვნულ საკითხში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა განამტკიცებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მიზანია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ფაქტიური თანასწორობის უზრუნველყოფა, მათ მიერ წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია უფრო განვითარებული მოძმე საბჭოთა რუსეთის მხრივ მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის გზით.

1922 წლის იანვარში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა, რომელმაც მოიწონა რკპ (ბ) X ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის და ეროვნულ საკითხში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ და შეიმუშავა საქართველოში ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. ყრილობამ, შეაჯამა რა შედეგები პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობისა, რაც გაწეული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დასახა ღონისძიებანი, რომ პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ მუშაობა საქართველოს მშრომელთა დასარაზმავად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გარდაქმნა მთელი თავისი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა 1922 წლის თებერვალში გამართულმა სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ, რომელმაც აირჩია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მიიღო რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციამ. რომელსაც საფუძვლად დაედო რუსეთის სფსრ 1918 წელს მიღებული კონსტიტუციის პრინციპები, საკანონმდებლო წესით განამტკიცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული მონაპოვარნი.

ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელმა განხორციელებამ უზრუნველყო საქართველოში მოსახლე ყველა ხალხის მეგობრობის განმტკიცება, ეკონომიური და კულტურული აყვავება.

საქართველოს კომპარტიის მთელ საქმიანობას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის ბრძნული რჩევა-დარიგება და დირექტივები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მის წერილებში და უწინარეს ყოვლისა მის ცნობილ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ (1921 წლის 14 აპრილი). ამ წერილში ამიერკავკასიისა და კავკასიის რესპუბლიკების თავისებური მდგომარეობის გამო ვ. ი. ლენინი კომუნისტებს აძლევს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მითითებებს, რომლებიც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და განვითარებისათვის მათი ბრძოლის ტაქტიკას და სახავს მხარის საწარმოო ძალების სწრაფი აღმავლობის პროგრამას, მიუთითებს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ელექტროფიკაციისა და რწყვის განვითარებას.

ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებს დაუსახა ამოცანა — გადაექციათ მრავალეროვანი კავკასია ეროვნული მშვიდობის, ბურჟუაზიის დროს უმაგალითო, ბურჟუაზიული წყობილების დროს შეუძლებელი მშვიდობის ნიმუშად.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების კომპარტიებთან ერთად, რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიქმნა 1922 წლის თებერვალში და რომლის სათავეში იდგნენ კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი, ა. თ. მიასნიკოვი და სხვები, დაუცხრომელი ბრძოლა გააჩაღა ვ. ი. ლენინის ბრძნულ მითითებათა შესასრულებლად.

ამ ბრძოლაში წარმატებით იქნა დაძლეული ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგობა, რომლებიც ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ.

1922 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც გააერთიანა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები ერთიან ძმურ ოჯახად და გახდა ხალხთა ლენინური მეგობრობის ცოცხალი განსახიერება. თოთხმეტი წლის მანძილზე ამიერკავკასიის სფსრ ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურღვევ კავშირს, აერთიანებდა მათს მატერიალურ რესურსებსა და ღონისძიებებს სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის საქმეში, უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა აღზრდაში ურღვევი მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით, ხელი შეუწყო აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ განვითარებას.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ისტორიული გამარჯვება იყო შექმნა 1922 წლის დეკემბერში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, რომლის შემადგენლობაში საბჭოთა საქართველო შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

საქართველოს მშრომელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში ფასდაუდებელ ძმურ დახმარებას უწევდა საბჭოთა რუსეთი. ვ. ი. ლენინის მითითებით საბჭოთა რუსეთიდან საქართველოში მოდიოდა სურსათით, სამრეწველო საქონლით, ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობით დატვირთული ეშელონები.

ამ დახმარების მეოხებით საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დაიწყო 20 მსხვილი სამრეწველო საწარმოს და მათ შორის საქართველოს სოციალისტური ენერგეტიკის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) მშენებლობა. ამ სადგურის მშენებლობაზე რუსეთის სფსრ ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 1 მილიონ 700 ათასი მანეთი ოქროთი. ქუთაისში ამუშავდა მაუდის ფაბრიკა, რომლის მოწყობილობა საქართველოს მშრომელებს საჩუქრად გამოუგზავნეს მოსკოვის მუშებმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის თავდადებულმა შრომამ თავისი შედეგები გამოიღო. უკვე 1925—1926 სამეურნეო წლის დამლევისათვის მიღწეული იყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე, აღდგენილ იქნა ტრანსპორტი; 1925 წელს ნათესმა ფართობმა 1913 წლის დონეს გადააჭარბა.

18. წარმატებით დაამთავრა რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა, საქართველოს კომუნისტური პარტია შეუდგა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გენიალური ლენინური გეგმის განხორციელებას.

ახორციელებდნენ რა საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ, საქართველოს სსრ მშრომელებმა, რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით, მოკლე ვადაში აღმოფხვრეს ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობად მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, ქიმიური, ფეროშენადნობთა, ჩაის, შაქრის მრეწველობა და სხვ. ძირეულად იქნა რეკონსტრუირებული ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა. ზაჰესს გარდა აშენდა ისეთი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არის რიონჰესი, ალაზანჰესი და სხვ. 1940 წელს საქართველოს სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1913 წლის დონეს გადააჭარბა თითქმის 10,2-ჯერ, ხოლო მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ — 26,9-ჯერ, ამასთან რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის 81 პროცენტი მოდიოდა ახალ სამრეწველო საწარმოთა წილად.

საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის მრეწველობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 75 პროცენტს, ამავე დროს სწრაფად გაიზარდა სოფლის მეურნეობა. ამ დროისათვის სოციალისტური სექტორი რესპუბლიკის მრეწველობაში გაბატონებული გახდა.

საბჭოთა საქართველოში მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა. იზრდებოდნენ რესპუბლიკის მუშათა კლასის ეროვნული კადრები, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, განუხრელად მაღლდებოდა მათი კულტურული დონე. საქართველოში ფართოდ გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

19. საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. პარტია ამასთან ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის გენიალური კოოპერაციული გეგმით.

საკოლმეურნეო მოძრაობამ, რომელიც საქართველოში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, 1929 წელს მასობრივი ხასიათი მიიღო. მეორე ხუთწლედის დამლევს, 1937 წელს, საქართველოს კოლმეურნეობებში უკვე გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 76,5 პროცენტი, ხოლო 1941 წლის დამდეგისათვის — 94,1 პროცენტი.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ და მის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. საქართველო მეფის რუსეთის წვრილ-გლეხური განაპირა მხარიდან, რომელსაც ტექნიკურად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა ჰქონდა, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა. რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ისეთმა დარგებმა, როგორიც არის მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა და სხვ.

კოლექტივიზაციის გამარჯვებამ ძირეულად შეუცვალა სახე საქართველოს სოფელს. საკოლმეურნეო წყობილებამ გაათავისუფლა გლეხობა საუკუნეობრივი კაბალისაგან, სიღარიბისა და გაჭირვებისაგან, დაუსახა მას შეძლებული, კულტურული, ბედნიერი ცხოვრების გზა.

20. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, განხორციელდა კულტურული რევოლუცია. საქართველო დაიფარა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელით, გახდა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკა. 1941 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც რესპუბლიკაში მეცნიერული აზროვნების განვითარების ნამდვილი ცენტრი გახდა. საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს ათეულ ათასობით სპეციალისტი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის დიდი მონაპოვარი იყო მრავალრიცხოვანი სახალხო ინტელიგენციის შექმნა. აყვავდა ქართული კულტურა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით გამსჭვალული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური. სწრაფად ვითარდებოდა ქართული ლიტერატურა, მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა ხელოვნებამ — მუსიკამ, ფერწერამ, თეატრმა, კინომ. ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა თავიანთი მეცნიერული შრომებით და შესანიშნავი ნაწარმოებებით სახელი მოუხვეჭეს ქართულ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას შორს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სოციალისტურ მშენებლობაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველო 1935 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

21. სოციალისტური მშენებლობა საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდებოდა გარეშე და შინაური რეაქციული ძალების და პარტიის შიგნით მათი აგენტურის — ტროცკისტთა, ბუხარინელთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და სოციალიზმის სხვა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტია მუდამ იყო სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი მის ბრძოლაში ანტიპარტიულ მიმდინარეობათა და დაჯგუფებათა წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, პარტიული რიგების ერთიანობისა და მონოლითურობისათვის, პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის.

22. პარტიის ლენინური გენერალური ხაზის — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის გამარჯვების შედეგად საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

სოციალიზმის გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ქვეყნის მთელი სახე, ეკონომიკა და კულტურა, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. სამუდამოდ ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული კლასები. განვითარდა საბჭოთა დემოკრატია. განვითარდნენ საბჭოთა კავშირის ახალი მამოძრავებელი ძალები: საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, ღრმა გარდაქმნები საბჭოთა ხალხის ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საკანონმდებლო წესით განმტკიცდა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც მიიღო სსრ კავშირის საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ 1936 წლის 5 დეკემბერს.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც წარმატებით შეასრულა თავისი უდიდესი ისტორიული ამოცანა, და აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში როგორც მოკავშირე რესპუბლიკები.

1937 წლის თებერვალში გაიმართა საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა, რომელმაც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად და მისი პრინციპების საფუძველზე მიიღო საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელმაც კანონმდებლობით განამტკიცა საქართველოს მშრომელთა ისტორიული მონაპოვარნი, ღრმა სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებისათვის, საქართველოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მათი გმირული ბრძოლის შედეგი.

1937 წლის 1 აგვისტოს აფხაზეთის საბჭოების VIII ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, ხოლო 1937 წლის 25 ოქტომბერს აჭარის საბჭოების საგანგებო XII ყრილობამ მიიღო აჭარის ასსრ ახალი კონსტიტუცია.

საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში—სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ძირითადი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის ამ ახალ ეტაპზე განსაზღვრა საკავშირო კპ(ბ) XVIII ყრილობამ.

საქართველოს მშრომელებმა დაიწყეს ბრძოლა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე (1938-1942 წწ.) ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. დაიწყო რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების, სამგორის სარწყავი სისტემისა და ბევრი სხვა დიდი სოციალისტური საწარმოს მშენებლობა. კოლმეურნე გლეხობა შეუდგა დიდ ღონისძიებათა განხორციელებას ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების გასაფართოებლად. ინტელიგენციამ ახალი ენერგიით გაშალა შემოქმედებითი მუშაობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის, ამრავლებდა ქართველი სოციალისტური ერის სულიერ სიმდიდრეს.

23. მაგრამ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა შეწყდა 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის გამო. კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ქართველი ხალხი, სსრ კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ, აღდგა თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უდიდესი მუშაობა გაშალეს რესპუბლიკის მშრომელთა მთელი ძალების მობილიზაციისათვის მტრისადმი მტკიცე წინააღმდეგობის გასაწევად.

დიდი სამამულო ომი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის, ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა ლენინური მეგობრობისადმი მისი ერთგულების მკაცრი შემოწმება იყო. ქართველმა ხალხმა და მისმა ავანგარდმა — საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პირნათლად ჩააბარეს ეს მკაცრი გამოცდა.

საქართველოს ასეულ ათასობით მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენციის წარმომადგენელი ჩადგა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში. სამამულო ომის პირველ დღეებში საქართველოს კომპარტიამ ფრონტზე გაგზავნა 52 ათასზე მეტი კომუნისტი, თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა აგრეთვე ასი ათასზე მეტი კომკავშირელი — სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტი. ქართველი ხალხის 50 ათასზე მეტი შვილი, საბჭოთა არმიის მებრძოლები და მეთაურები და ჰიტლერელთა წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილენი დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო საქართველოს სსრ 129 მამაც შვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება სახელი სერჟანტ მ. ქანთარიასი, რომელმაც სერჟანტ მ. ეგოროვთან ერთად აღმართა გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე, ზემდეგ ნ. ადამიას, მაიორ ა. წურწუმიას, ზემდეგ ნ. გოგიჩაიშვილის, პოლიტხელ ვ. კანკავას, პოდპოლკოვნიკ ნ. იუფეროვის, უფროს ლეიტენანტ ვ. პოპკოვის, ზემდეგ რ. ბარციცის, ლეიტენანტ ვ. ჩოჩიევის, კაპიტან კ. ხოჯიევის, კაპიტან ი. ჯინჭარაძის, მაიორ ჭ. ბენდელიანის, რიგით ჯარისკაც გ. მაისურაძის, სერჟანტების შ. გამცემლიძისა და ლ. ავალიანის, კაპიტან მ. ბუხაიძის, უშიშარი პარტიზანების პ. გვალიას, ტ. ტალახაძის, მამაცი კომკავშირელის, ყირიმის იატაკქვეშეთის მონაწილის ზ. რუხაძის, სანინსტრუქტორ თ. იოსებიძისა და საქართველოს ბევრი სხვა მამაცი შვილის უკვდავი გმირობა.

სამშობლოს წინაშე თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ ზურგის მშრომელებიც. გარდაქმნეს რა რესპუბლიკის მთელი ცხოვრება სამხედრო ყაიდაზე, საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია მთელი ომის განმავლობაში საბჭოთა არმიას დიდი რაოდენობით აწვდიდნენ სამხედრო საჭურველს, ტანსაცმელს, კვების პროდუქტებს და სხვ.

კოლმეურნე გლეხობამ თავისი თავდადებული შრომით მნიშვნელოვნად გაადიდა მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასურსათო, აგრეთვე ბევრი ტექნიკური კულტურის ნათესები. საქართველოს სოფლის მეურნეობამ საბჭოთა სახელმწიფოსა და მის არმიას მისცა 115 მილიონი ფუთი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. კოლმეურნეებმა სატანკო კოლონის „საქართველოს კოლმეურნის“ და თვითმფრინავთა ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობისათვის შეაგროვეს 272 მილიონზე მეტი მანეთი.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მშრომელებმა პირნათლად მოიხადეს პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე, ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამარჯვებაში.

IV

სკკპ ხელმძღვანელობით—წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

24. საბჭოთა კავშირის ხალხებმა ძლევამოსილად დაამთავრეს დიდი სამამულო ომი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობანი და დაუშრეტელი შესაძლებლობანი, მთელი ძალებით შეუდგნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებასა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას.

სამამულო ომის წლებში საქართველოს ტერიტორი-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

(გაგრძელება)

თეზისები

ის მხოლოდ მცირე ნაწილი მოკლე ხნით გახდა საომარი მოქმედების ასპარეზი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომის შედეგებმა თავი იჩინა საქართველოშიც: რესპუბლიკამ დიდი დანაკლისი განიცადა. ეს იყო ადამიანთა მსხვერპლიც და მატერიალური ზარალიც, რომელიც მთელ სახალხო მეურნეობას მიაყენა ომმა.

სამამულო ომის წლებში საქართველოში მრეწველობის მხოლოდ ზოგიერთმა დარგმა შეინარჩუნა წარმოების მაღალი დონე, გაადიდა პროდუქციის გამოშვება (ფეროშენადნობების გამოდნობა, ქვანახშირის ამოღება, ბამბის ქსოვილების, კონსერვების წარმოება და სხვ.).

ომმა გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც. ამიტომ საქართველოს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს უნდა დაეძაბათ მთელი თავიანთი ენერგია იმისათვის, რომ აღედგინათ და კიდევ უფრო აემაღლებინათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ომამდელი დონე.

საქართველოს მშრომელნი აქტიურად ჩაებნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის (1946-1950 წწ.) დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში. მუშათა კლასის თავდადებული შრომის შედეგად საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ უკვე 1947 წელს 12 პროცენტზე მეტით გადააჭარბა 1940 წლის ომამდელ დონეს, ხოლო 1950 წელს — 56 პროცენტით. პირველ ომისშემდგომ ხუთწლედში ძირითადად დამთავრდა ინდუსტრიის ისეთი გიგანტების მშენებლობა, როგორიც არის ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა რუსთავში და გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, რომელთა პროდუქცია ამჟამად კარგად ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მეოთხე ხუთწლედში გადაჭარბებულ იქნა ჩაის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ომამდელი დონე.

საქართველოს სსრ მშრომელებმა ძმური დახმარება გაუწიეს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებული რაიონების მშრომელებს. საქართველოს მუშების წარგზავნილნი მონაწილეობას იღებდნენ სტალინგრადის, ხარკოვის, ნოვოროსიისკისა და სხვა ქალაქების, აგრეთვე ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის, ნიკოპოლისა და დონბასის შახტებისა და სხვა საწარმოების აღდგენაში. ამავე დროს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის საწარმოებში, ურალის ქარხნებსა და დონბასის შახტებში სწავლობდა და ახალ საწარმოო პროფესიებს იძენდა ასობით ქართველი მუშა.

ყოველივე ეს მკაფიო გამოვლინება იყო ხალხთა მეგობრობისა, რომელიც განმტკიცდა ჩვენს ქვეყანაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობამ, კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებებისა და ადგილებზე საკოლმეურნეო მშენებლობაში ლენინური პოლიტიკის ზოგიერთი დამახინჯების შედეგად, ვერ მიაღწია განვითარების იმ მაღალ დონეს, რომლის შესაძლებლობასაც შეიცავდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა.

მობრუნების პუნქტი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მთელი ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობისათვის გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ საფუძვლად დაედო ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

25. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში შესანიშნავი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ყრილობამ მოგვცა საერთაშორისო და საშინაო ვითარების ღრმა ანალიზი, დასახა და გადაჭრა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების გზებისა და პერსპექტივების გაგებისათვის. ყრილობამ შეიმუშავა სსრ კავშირის იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლის დიდებული პროგრამა, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საქართველოს კომპარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, დიდი მუშაობა გასწია პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისა და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენისათვის, შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური კანონიერების დარღვევათა ლიკვიდაციისათვის, მშრომელთა ფართო მასებთან კომუნისტური პარტიის კავშირის განმტკიცებისათვის.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ისეთ უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო ღონისძიებებს, როგორიც არის მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება მეურნეობისა და კულტურის მართვაში, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ძირეული გარდაქმნა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელება და სხვ. საქართველოში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიურ რაიონში, შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭო, რამაც საშუალება მოგვცა ხელმძღვანელობა მიგვეახლოებინა საწარმოებთან და მშენებლობებთან, უფრო სრულად გამოგვევლინებინა რესპუბლიკის მდიდარი შინაგანი რეზერვები და გამოგვეყენებინა ისინი კომუნისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარებისათვის.

26. სკკპ XXI ყრილობამ, რომელიც 1959 წლის დამდეგს გაიმართა, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ყრილობამ განსაკუთრებული ძალით დაანახვა მთელ მსოფლიოს პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გრანდიოზული წარმატებები, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გაზრდილი მნიშვნელობა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ყრილობაზე, ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული და გადაჭრილია მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიდმნიშვნელოვანი პრინციპული საკითხები, დაკავშირებული სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლასთან — კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ და სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალიზმისა და კომუნიზმის პირობებში საზოგადოების მიერ წარმოებული მატერიალური დოვლათის განაწილების, სოციალისტური საკუთრების საკოლმეურნეო და საერთო-სახალხო ფორმების განვითარებისა და დაახლოების გზების, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში სახელმწიფო წყობილების და მმართველობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების შესახებ და სხვა უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დაამტკიცა, შემუშავებულია სამამულო მრეწველობის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი მძლავრი განვითარების, მშრომელთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების დიდებული პროგრამა. ამ პროგრამის შესრულება საშუალებას მოგვცემს გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

შვიდწლიან გეგმაში ჰარმონიულად შეხამებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ამოცანები.

შვიდწლედის მანძილზე საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წელთან შედარებით გადიდდება 75 პროცენტით. ამასთან უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება იზრდება შემდეგი ოდენობით: ელექტროენერგიისა — 2,3-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2,2-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 2,6-ჯერ, სატვირთო ავტომობილებისა — 2,4-ჯერ, ტრაქტორებისა — 2,3-ჯერ, სამაგისტრალო ელმავლებისა — 14,3-ჯერ, ბამბის ქსოვილებისა — 1,8-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 1,6-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 2,5-ჯერ, ნატურალური ჩაისა — 1,6-ჯერ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შვიდწლიანი გეგმით შეადგენს 1,7 მილიარდ მანეთს (ახალი ფულით) — 1,4-ჯერ მეტს, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან სამრეწველო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 1,1 მილიარდი მანეთი — 26 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952-1958 წლებში, საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის დაიხარჯება 400 მილიონზე მეტი მანეთი—64 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში. ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის გათვალისწინებულია 142 მილიონი მანეთი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1952-1958 წლებში.

შვიდწლედის მანძილზე დაჩქარებული ტემპით განვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა. მრეწველობის საერთო პროდუქციაში მნიშვნელოვნად გადიდდება ქიმიური, მანქანათსამშენებლო და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წონა.

დიდი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე. გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდება სულ ცოტა 1,5-2-ჯერ, ჩაის წარმოება გადიდდება 1,5-ჯერ, ხილისა — 1,9-ჯერ, ყურძნისა — 1,6-ჯერ, ხორცისა — 2,2-ჯერ და რძისა — 2,3-ჯერ.

გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის ყოველწლიური ჩაბარება 1965 წელს აყვანილ იქნას 180 ათას ტონამდე, ციტრუსებისა — 65 ათას ტონამდე, ხილის მოსავლი — 150 ათას ტონამდე, ყურძნისა — 330 ათას ტონამდე, თამბაქოსი — 20 ათას ტონამდე და სხვ.

შვიდწლედის დიადი ამოცანებით აღფრთოვანებულმა რესპუბლიკის მეჩაიეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლიანი გეგმის დავალებანი შეასრულონ 1963 წელს და შვიდწლედის დამლევს სახელმწიფოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის ყოველწლიური ჩაბარება აიყვანონ 200 ათას ტონამდე, რაც საშუალებას მოგვცემს სავსებით უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირი საკუთარი წარმოების ჩაით.

შვიდწლიანი გეგმა უზრუნველყოფს საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურის ამაღლებას. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი შვიდწლედის დამლევისათვის გადიდდება საშუალოდ 40 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეებისა — სულ ცოტა 40 პროცენტით. 1964 წლიდან გათვალისწინებულია დაიწყოს 35-30 საათის სამუშაო კვირაზე გადასვლა კვირაში ორი გამოსასვლელი დღის მიცემით ხელფასის შეუმცირებლად. საქონელბრუნვის მოცულობა გაიზრდება 57 პროცენტით.

შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკაში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებებით აშენდება 4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. შვიდწლედის დამლევს საბოლოოდ გაუქმდება გადასახადები, რასაც მუშები და მოსამსახურეები იხდიან. განხორციელდება რესპუბლიკის ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობა. მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯება სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაღების, ბაგების, კლუბებისა და კულტურის სახლების მშენებლობაზე. 18,5 მილიონზე მეტი მანეთი იქნება გაღებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, გამოთვლითი ცენტრისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების შენობათა კაპიტალური მშენებლობისათვის.

27. სკკპ XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და დეკემბრის (1959 წ.), აგრეთვე ივლისის (1960 წ.) პლენუმების დადგენილებებმა საბჭოთა კავშირის მშრომელები აღაფრთოვანეს კომუნისტურ მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხთან ერთად საბჭოთა საქართველოს მშრომელები მტკიცედ იბრძვიან იმისათვის, რომ განახორციელონ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამა. რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა თანამედროვეობის დიადი მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა. ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში დღითიდღე ებმებიან მშრომელთა სულ ახალი და ახალი ჯგუფები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელიც 1960 წლის იანვარში გაიმართა, შეაჯამა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იმ ბრძოლის პირველი წლის შედეგები, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა განხორციელებისათვის, და პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, ღირსეულად შეხვდნენ მოახლოებულ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს.

28. 40 წლის მანძილზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განვლო ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა, იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცდა და ახლა თავის რიგებში აერთიანებს 216.866 კომუნისტს, არის საქართველოს მშრომელთა მოწინავე რაზმი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის ძალაა მშრომელ მასებთან კავშირი, რომელიც სულ უფრო იზრდება და მტკიცდება, ხალხთან ურღვევი ერთიანობა. საქართველოს კომპარტია დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ გაიზარდოს მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვ. როლი და აქტივობა. საქართველოს სს რესპუბლიკაში არის ადგილობრივი საბჭოების 40.429 დეპუტატი და მუდმივი კომისიების წევრი. საქართველოს პროფესიული კავშირები თავიანთ რიგებში აერთიანებენ 831 ათასზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს.

ახორციელებენ რა სკკპ XX და XXI ყრილობათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომუნისტები წარმატებით იბრძვიან შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ ამაღლებენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონეს, გულმოდგინედ აუმჯობესებენ მეურნეობის ხელმძღვანელობის სტილს, უფრო ღრმად სწვდებიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკას, აქტიურად ავლინებენ დაუშრეტელ რეზერვებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს — კომკავშირს, რომლის რიგებში კომუნისტური აღზრდის სკოლას გადის რესპუბლიკის ახალგაზრდობის 342 ათასზე მეტი საუკეთესო წარმომადგენელი. საქართველოს კომკავშირელთა და მთელი ახალგაზრდობის მგზნებარე პატრიოტიზმი მკაფიო გამოხატულებას პოულობს ქალიშვილთა და ჭაბუკთა შესანიშნავი შრომითი საგმირო საქმეებით ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში.

29. საქართველოს მშრომელები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — სახელოვან 40 წლისთავს — ეგებებიან ახალი შესანიშნავი წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1960 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა 40-ჯერ, აქედან მსხვილი მრეწველობისა — 112-ჯერ. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში იღებენ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს და აწარმოებენ 190-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს.

შვიდწლედის განვლილი ორი წლის მანძილზე წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმის შესაბამისი პერიოდის დავალებანი. 1959 და 1960 წლებში მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა თითქმის 15 პროცენტით, საკონტროლო ციფრების გაანგარიშებით გათვალისწინებული 12 პროცენტის ნაცვლად. ყველაზე წარმატებით შესრულებულია დავალებანი შავ მეტალურგიაში, სამშენ მასალათა წარმოებასა და ჩაის მრეწველობაში.

ამჟამად საქართველო აწარმოებს ელმავლებს, სატვირთო ავტომობილებს, საკაბოტაჟო ნაოსნობის გემებს, ელექტროძრავებს, კოშკურა ამწეებს, ელექტროშესადუღებელ მოწყობილობას, ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ფეროშენადნობებს, ცემენტს, შიფერს, აგურს, ტუფს, ქვანახშირს, მარგანეცს, ნავთობსა და მისი გადამუშავების პროდუქტებს, ბარიტს, გუმბრინს, დიატომიტს, ლიტოპონს, მარმარილოს, ქაღალდს, რკინაბეტონის ნაკეთობებს, პლასტმასის ნაკეთობებს, ჩაის, შაქარს, ღვინოს, კონსერვებს, თამბაქოსა და მის ნაწარმს, ეთეროვან და ტუნგოს ზეთს, კოფეინს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს და ბევრ სხვა რამეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო მრეწველობის მხრივ ისეთივე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, როგორც მეზობელი ქვეყნები — თურქეთი და ირანი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თავისუფალმა და სუვერენულმა საქართველომ წარმოების სოციალისტური წესის მეოხებით შორს მოიტოვა უკან თურქეთი და ირანი, დაეწია და გაუსწრო ერთ სულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებით ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც არის იტალია. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ უფრო მეტს, ვიდრე იტალიაში: თუჯს — 4-ჯერ, ფოლადს — 2-ჯერ, ნაგლინს — 1,7-ჯერ.

საქართველო აწარმოებს უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე აწარმოებდა რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური. ერთ სულ მოსახლეზე რესპუბლიკა აწარმოებს 8-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მეზობელი თურქეთი, რომელიც ტერიტორიით 11-ჯერ სჭარბობს საქართველოს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისათვის საქართველო მძლავრი მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, დიდად განვითარებული სოციალისტური კულტურის რესპუბლიკა გახდა. ჩვენი რესპუბლიკის მაღალი ეკონომიური განვითარების მკაფიო გამოვლინებაა მისი სამრეწველო პროდუქციის სულ უფრო მზარდი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ექსპორტში. ამჟამად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას თავისი მრეწველობის ნაწარმი გააქვს საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაში.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი დიდი მიღწევაა ყარადაღ-თბილისის გაზსადენისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომური რეაქტორის მშენებლობა.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1959 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები შეუდგნენ მოქმედი საამქროებისა და უბნების ძირეულ რეკონსტრუქციას, გაფართოებასა და ტექნიკურ ხელახლა შეიარაღებას, უფრო გაბედულად დაიწყეს ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა, განუწყვეტლივ აფართოებენ წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, იბრძვიან იმისათვის, რომ უფრო სწრაფად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირონ ფულადი და მატერიალური ხარჯები ახალ საწარმოთა მშენებლობასთან შედარებით.

სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკაში ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ჩარხმშენებლობა, წარმოების ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უაღრესად განვითარდა მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობა. ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში ყოველწლიურად ვუშვებთ 2,5 წყვილ ტყავის ფეხსაცმელს—სულ 10,7 მილიონზე მეტ წყვილს, მაშინ როცა 1927 წელს გამოშვებული იყო მხოლოდ 200 ათასი წყვილი. თუ წინათ ჩვენს რესპუბლიკაში სრულიად არ აწარმოებდნენ ბამბის ქსოვილებს, ხოლო აბრეშუმის ქსოვილებს უშვებდნენ უმნიშვნელო რაოდენობით, ამჟამად ყოველწლიურად ვუშვებთ თითქმის 50 მილიონ მეტრ ბამბას, 20 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილებსა და 5 მილიონ მეტრ შალის ქსოვილებს.

მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს ქართულმა ჩაიმ, ღვინოებმა, შამპანურმა, კონიაკმა, კონსერვებმა და კვების მრეწველობის სხვა პროდუქციამ.

საქართველოს ეკონომიური რაიონის საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 1964 წელს მიაღწიონ სამრეწველო პროდუქციის წარმოების იმ დონეს, რომელიც დაგეგმილია შვიდწლედის ბოლოსათვის. რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ ვალდებულება იკისრა 5 წელიწადში შეასრულოს შვიდწლიანი გეგმა, ხოლო ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი თუჯის წარმოებაში უკვე 1962 წელს მიაღწევს შვიდწლედის ბოლოსათვის დასახულ დონეს.

რესპუბლიკაში აღიზარდნენ წარმოების ნიჭიერ ორგანიზატორთა და ნოვატორთა ახალი კადრები. მამაცური შრომით თავი ისახელეს წარმოების ისეთმა ნოვატორებმა, როგორიც არიან კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელნი გურამ ჩადუნელი (თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანა), არჩილ ძამაშვილი, ამირან ფანცულაია (ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა), ზაურ რუსია (თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატი“), ელენე გეგელაშვილი (გორის ბამბეულის კომბინატი), შოთა კუბლაშვილი (ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი), პოლინა ბოგდანოვა (თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკა), მიხეილ ბალდასაროვი (ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა), კუჩკონ ლეიბა (ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი), დავით თედეევი (მთავართბილისმშენი) და ბევრი სხვა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) და შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, სკკპ XX და XXI ყრილობათა გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განუხრელ აღმავლობაში.

ოქტომბრის რევოლუციამდე და მენშევიკების ბატონობის წლებში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ისეთი ძვირფასი კულტურების განვითარებას, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, აგრეთვე მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სურათი სრულიად შეიცვალა. ვრცელ ფართობებზე გაშლილია ჩაისა და სუბტროპიკული პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები, ტექნიკური და მარცვლეული კულტურები, რომელთა დამუშავებაზე სულ უფრო ფართოდ ვიყენებთ ტექნიკას. ჩაის პლანტაციებს ახლა უჭირავს 55,3 ათასი ჰექტარი, ხოლო ვენახებს 83,4 ათასი, მაშინ როცა 1921 წელს მათ შესაბამისად ეკავათ — 1.000 და 36.000 ჰექტარი.

1.115 კოლმეურნეობა, ანუ ყველა კოლმეურნეობის 54 პროცენტი, და 122 საბჭოთა მეურნეობა ელექტროფიცირებულია. კოლმეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში შრომობს 11.000-მდე სპეციალისტი, მათ შორის 8.300 აგრონომი, ვეტერინარი და ზოოტექნიკოსი. რესპუბლიკის მინდვრებში მუშაობს 7.900-ზე მეტი ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე აღემატება 196 ათას ცხენძალას, 1.700-მდე კომბაინი, 11 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა.

1960 წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა მიიღეს უმაგალითო მოსავალი — 157 ათასი ტონა ჩაი გეგმით გათვალისწინებული 138 ათასი ტონის ნაცვლად, 50 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს, და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითადი მისალმება დაიმსახურეს. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 80.000 ტონა ხილი, ესე იგი 3.000 ტონით მეტი, ვიდრე წინა წელს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე ციტრუსების, დაფნის ფოთლისა და სხვა პროდუქტების წარმოებაში. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგის — საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. გასულ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 20.084 ტონა ხორცი, 9.261 ტონა რძე, 5 მილიონამდე ცალი კვერცხი, 250 ტონა მატყლი.

ასრულებდნენ რა ლენინის ანდერძს, საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შექმნეს სარწყავ სისტემათა ფართოდ განშტოებული ქსელი (სამგორის, ვანათის, კეხვის, სოემაშველის, ალაზნის, ტირიფონის, ტაშისკარისა და სხვ.). რესპუბლიკაში ირწყვება 341 ათასი ჰექტარი მიწა 1921 წლის 95 ათასი ჰექტარის ნაცვლად. გარდა ამისა, ამოშრობილია და მეურნეობაში ვიყენებთ 107 ათას ჰექტარ მიწას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საარსებო მნიშვნელობა ექნება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრებას და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის აგებას, კოლხიდის დაბლობის მთლიანად ამოშრობას, რის შემდეგ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფონდი 350 ათასი ჰექტარით და მეტით გადიდდება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში თავდადებული შემოქმედებითი შრომით სახელი გაითქვეს საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორებმა — ჩაის მკრეფავებმა ტატიანა ჩხაიძემ (მახარაძის რაიონი) და გული ავიძბამ

(დასასრული მე-5 გვერდზე)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი

თეზისები

(დასასრული)

(ოჩამჩირის რაიონი), მექანიზატორმა გიორგი თინაშვილმა, მეღორეებმა დავით სეფიაშვილმა (წითელწყაროს რაიონი) და იუზა დოკუზოვამ (სტალინირის რაიონი), მწყემსებმა გიორგი ჩალაბაშვილმა და გიორგი მჭედლიშვილმა (სიღნაღის რაიონი), მწველავებმა სოფიო დელიბაშვილმა (სამგორის რაიონი), მერი კვაჭანტირაძემ (საგარეჯოს რაიონი), ტასია ფედოსეევამ (თეთრი წყაროს რაიონი), ემა კუიუმჩიანმა (ახალქალაქის რაიონი), მესიმინდე კონსტანტინე სანდუხაძემ (ზუგდიდის რაიონი) და ბევრმა სხვამ.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1961 წ.) პლენუმი.

ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ. ეს ყრილობა შეაჯამებს პარტიისა და ხალხის იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც გაწეულია პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ყრილობა განიხილავს და დაამტკიცებს სკკპ ახალ პროგრამას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა განსაზღვრა პარტიისა და ხალხის გადაუდებელი ამოცანები სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იყო პარტიისა და ხალხის ძლევამოსილი, ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია. მისი გადაწყვეტილებანი ყველა საბჭოთა ადამიანს ავსებენ კანონიერი სიამაყის გრძნობით ჩვენი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისათვის, ჩვენი მძლავრი სამშობლოსათვის, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის კომუნისტური მშენებლობის ახალი დიადი გამარჯვებებისაკენ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, აფართოებენ შეჯიბრებას იმისათვის, რომ მისცენ სამშობლოს მეტი კვების პროდუქტები და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, რომლებიც საჭიროა საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ცხოვრებაში დიდი, სასიხარულო მოვლენა იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომელიც თბილისში გაიმართა და რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ნ. ს. ხრუშჩოვის სერიოზული კრიტიკული შენიშვნები და ძვირფასი რჩევა დაგვეხმარა გამოგვევლინებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვები, დაგვესახა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ განსაზღვრული ახალი ზღუდეების მიღწევის გზები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 1961 წელს გაადიდონ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოება. საქართველომ მიმდინარე წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული, 60.000 ტონა ხორცი, 145.000 ტონა რძე, 160.000—165.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 150.000 ტონა ყურძენი, 85.000 ტონა ხილი, 30.000 ტონა ციტრუსები, 4.100 ტონა მატყლი, 70 მილიონი ცალი კვერცხი, 1.200 ტონა დაფნის ფოთოლი, 18.000 ტონა თამბაქო, 4.200 ტონა აბრეშუმის პარკი, 90.000 ტონა ბოსტნეული, 22.000 ტონა კარტოფილი.

საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ეს ღონისძიებანი, რომლებიც შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დირექტივების შესაბამისად, დაგვეხმარებიან კიდევ უფრო ავამაღლოთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კიდევ უფრო მივუახლოოთ მეცნიერება ცხოვრებას, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას, უფრო სწრაფად ავამოძრაოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მძლავრი რეზერვები, რაც დიდმნიშვნელოვანი პირობა იქნება იმისათვის, რომ განვახორციელოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების გეგმები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

რესპუბლიკის მშრომელნი აღფრთოვანებით შეუდგნენ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებისა და თავიანთი გადიდებული ვალდებულებების შესრულებას.

1961 წლის 10-11 მარტს გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგები და პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩაიარა მწვავე, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, მან შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას, მათს კეთილშობილურ მისწრაფებას ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას. მიაღწიონ შვიდწლედის მესამე წელს კომუნისტური მშენებლობის ახალ ზღუდეებს. ეს თვითეული პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებას.

30. წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

1958 წელს დაიწყო და 1960 წელს დამთავრდა მუშებისა და მოსამსახურეების გადასვლა 7 და 6 საათის სამუშაო დღეზე ხელფასის შეუმცირებლად. მზრუნველობითა და ყურადღებით არიან გარემოსილნი რესპუბლიკაში პენსიონერები, დედები და ბავშვები. მარტო 1960 წელს სახელმწიფოს მიერ გაცემული პენსიებისა და სხვადასხვა დახმარების საერთო თანხამ საქართველოში 79 მილიონი მანეთი შეადგინა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. საბჭოთა საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ერთ სულ მოსახლეზე ექიმების რაოდენობის მხრივ. მაშინ როცა 10.000 მცხოვრებზე ინგლისში მოდის 11,4 ექიმი, საფრანგეთში — 10,7, ბელგიაში — 12,2, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 12,1, საქართველოში 10.000 მცხოვრებზე მოდის 31,4 ექიმი. ჩვენს რესპუბლიკას მოწინავე ადგილი უჭირავს აგრეთვე საავადმყოფო საწოლების, პოლიკლინიკების, ამბულატორიებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების რაოდენობის მხრივ.

საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოჰყვა სიკვდილიანობის შემცირება, შობადობისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდა, რომელიც 1921 წლის 2.401,5 ათასი კაციდან გაიზარდა 4.044 ათასამდე 1959 წელს, ესე იგი გადიდდა 1.642,5 ათასი კაცით.

მნიშვნელოვნად გადიდდა ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა, სახელდობრ, 1921 წლის 475 ათასიდან (19,8 პროც.) 1,716 ათასამდე (42,4 პროც.) 1959 წელს. საქართველოს სსრ დედაქალაქი თბილისი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა ჩვენი ქვეყნის უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრად. ქალაქმა სავსებით იცვალა სახე, აშენდა ახალი საცხოვრებელი უბნები, მონუმენტური შენობები, კეთილმოწყობილი პროსპექტები და ქუჩები. მსხვილი სამრეწველო ცენტრი გახდა ქალაქი ქუთაისი, გაიზარდნენ შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქები ბათუმი და ფოთი, ქალაქი — ჯანმრთელობის კერა სოხუმი, ქალაქები ჭიათურა, ტყიბული, გორი, მახარაძე, ზუგდიდი, თელავი, გურჯაანი, კასპი და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში გაჩნდა ახალი ქალაქები, მათ შორის ისეთი ქალაქი, როგორიც არის სოციალისტური რუსთავი, და სხვ.

31. შემდგომ გაიფურჩქნა ქართველი ხალხის მდიდარი კულტურა.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნამ განამტკიცა სკოლის კავშირი ცხოვრებასთან და ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის აღზრდას ისე, რომ ეს აღზრდა უფრო სრულად შეესაბამებოდეს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდის მოთხოვნებს. ამჟამად რესპუბლიკაში არის ყველა სახეობის 4.664 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 700 ათასზე მეტი მოსწავლე. უდიდესი გაქანება მიიღო პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების შემდგომმა განვითარებამ. 1960 წელს 18 უმაღლეს სასწავლებელში, აგრეთვე საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდა 82 ათასზე მეტი კაცი, აქედან 38 ათასი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

რესპუბლიკაში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის საშუალოდ 315 კაცი საშუალო და არასრული საშუალო განათლებით, 38 კაცი უმაღლესი განათლებით, 15-მდე პედაგოგი და 200 მოსწავლე და სტუდენტი. ყოველ ათას მცხოვრებზე მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ ჩვენმა რესპუბლიკამ გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და ინგლისს. ათას კაცზე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით ჩვენში სწავლობს 3-ჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 8-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში და 18-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 55 სამეცნიერო დაწესებულებას აერთიანებენ. 1960 წელს რესპუბლიკაში იყო 174-მდე დიდი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულება, რომლებშიც ამუშავებენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ბევრი ქართველი მეცნიერის სახელი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში და შორს მის ფარგლებს გარეთ.

ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი წესი ლითონური მანგანუმის მიღებისა, რომელსაც ფართოდ იყენებენ მეტალურგიულ წარმოებაში; დიდი მუშაობა გასწიეს ძირითადი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოსარკვევად, წიაღის სიმდიდრეთა და მათი ექსპლოატაციის ხერხების გამოვლინებისათვის, თერმოატომგულის რეაქციების მართვის გამოსაკვლევად და სხვ.

ამჟამად საქართველოს სს რესპუბლიკაშია 300 ათასზე მეტი სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო განათლებით. რესპუბლიკის 9.137 მეცნიერ მუშაკს შორის 430 მეცნიერებათა დოქტორი და 3.200-ზე მეტი კანდიდატია.

მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს 3.114 მასობრივი ბიბლიოთეკა, 1.935 კლუბი და კულტურის სახლი, 1.209 კინოდანადგარი, 64 მუზეუმი. რესპუბლიკაში ქართულ, რუსულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოდის 138 გაზეთი, 123 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემები, დიდი ტირაჟებით გამოდის წიგნები. კულტურული რევოლუციის სერიოზული მონაპოვარია ის, რომ ქართულ ენაზე ითარგმნა და დიდი ტირაჟებით გამოიცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების, სსრ კავშირის ხალხთა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლებისა და კაპიტალისტური სამყაროს პროგრესულ მოღვაწეთა ნაწარმოებნი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოს ლიტერატურამ და ხელოვნებამ. მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა შექმნეს ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ნიჭიერი ქართველი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, მსახიობების მიღწევებმა, თეატრალურმა დადგმებმა და კინოფილმებმა მაღალი შეფასება მიიღო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს მოსკოვში 1958 წელს. მას წინ უძღოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადები, რომლებიც ქალაქ თბილისში მოეწყო. საქართველოს შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლებს უცვლელი წარმატება ჰქონდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ევროპისა და აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურა ვითარდება მოძმე საბჭოთა ხალხებისა და უწინარეს ყოვლისა რუსი ხალხის კულტურის კეთილმყოფელი გავლენით.

32. სკკპ XXI ყრილობაზე პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ცენტრალურ ამოცანად ჩვენმა პარტიამ წამოაყენა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანა. ახორციელებენ რა პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენილებას „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა იდეოლოგიური მუშაობა უფრო მაღალ დონეზე აიყვანეს, გაადიდეს მასებზე მისი ზემოქმედების ძალა. ახლა, როცა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა აღმზრდელობითი მუშაობის ნათელი, დეტალურად დამუშავებული, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის შესაბამისი პროგრამა, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დაუცხრომლად უნდა ზრუნავდნენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი შეგნებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის. იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ მოუწოდებდეს მშრომელებს იარონ წინ, უსახავდეს მათ კომუნიზმისაკენ წინსვლის შესანიშნავ პერსპექტივებს, ხელს უწყობდეს იმას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების უდიდესი მაორგანიზებელი და დამრაზმველი როლი კიდევ უფრო აქტიურად იჩენდეს თავს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში.

აღზრდა შრომის პროცესში, კომუნიზმისათვის ბრძოლის მსვლელობაში თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიმართულებაა, რომელმაც მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება პრაქტიკულად. პარტიული პროპაგანდა უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტულად და მიზანსწრაფულად, რაზმავდეს მშრომელებს მომწიფებული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად.

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის უდიდესი მნიშვნელობის გამო პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა შემადგენელი ნაწილის პროპაგანდა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა იმ თათბირის ისტორიულ დოკუმენტებს, რომელიც 1960 წლის ნოემბერში გაიმართა მოსკოვში, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ“, რომელშიც ამომწურავი სისრულით გაშუქებულია ყველა კონტინენტის კომუნისტთა ამ დიადი ფორუმის მნიშვნელობა და მოცემულია მაღალი შეფასება იმ პოლიტიკური ხაზისა და საქმიანობისა, რასაც ახორციელებდა თათბირზე სკკპ დელეგაცია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

თათბირის ორივე დოკუმენტი — განცხადება და მიმართვა — მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ახალი ნიმუშია, კომუნისტური და მუშათა პარტიების კოლექტიური გონების განსახიერებაა.

შეფასება და დასკვნები, რომლებიც თათბირმა მოგვცა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანების შესახებ, დიდმნიშვნელოვანი წვლილია მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, ახალი ისტორიული ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად კომუნისტური და მუშათა პარტიების მთელი იდეოლოგიური და პოლიტიკური საქმიანობის გაძლიერების საქმეში.

საქართველოს კომუნისტებმა კიდევ უფრო აქტიურად უნდა გაავრცელონ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები — საბჭოთა ადამიანების დიდი სულიერი იარაღი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

33. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობისა და ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

მჭიდროდ, ძმურად შეკავშირებულნი გამოდიან საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალრიცხოვან ეროვნებათა მშრომელები. სსრ კავშირის ხალხთა ცხოველმყოფელი მეგობრობა ყველაზე ფართო და ყოველმხრივ გამოვლინებას პოულობს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებით, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საწარმოო კავშირის გაფართოებით, საბჭოთა ხალხების თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით, მათი შეჯიბრებით, მოწინავე გამოცდილების, შრომის უკეთესი მეთოდების ურთიერთ შესწავლით, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შემოწმებით, ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრებით, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრებით.

ტრადიციული გახდა რუსთავისა და სუმგაითის მეტალურგთა, ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელთა, ტყვარჩელისა და დონბასის მეშახტეთა, თბილისისა და ერევნის ჩარხმშენებელთა, ქუთაისის და კიროვაბადისა და ლენინაკანის ფეიქართა და სხვათა შეჯიბრება. სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს მახარაძელ და გენიჩესკელ, კალინოვკელ და ბოლნისელ კოლმეურნეთა და სხვათა შეჯიბრებას. ფართო გაქანება მიიღო აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების შეჯიბრებამ. მეგობრობის ტრასა უწოდეს ამიერკავკასიის მშრომელებმა ბაქო — თბილისი — ერევნის გაზსადენის მშენებლობას.

ხალხთა ძმურმა მეგობრობამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებით. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში შეიქმნა განვითარებული მრეწველობა, მრავალდარგოვანი, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სოფლის მეურნეობა. აქ გაიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის ეროვნული კადრები, შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები.

საქართველოს მშრომელები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდილნი, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად ამხანაგურ მხარდაჭერას უწევენ სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, მიაჩნიათ ეს თავიანთ ღვიძლ საქმედ, თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად. რესპუბლიკის მუშები, სპეციალისტები ეხმარებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს ტექნიკური კადრების მომზადებაში, სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში და ა. შ., თავის მხრივ ეცნობიან და საქართველოში წარმატებით იყენებენ ამ ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ხალხთა ინტერნაციონალური აღზრდის, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საკითხები ყოველთვის იყოს მათი ყურადღების ცენტრში.

34. საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მშვიდობის ყველა მომხრე, დიდ მადლობას უძღვნიან ერთგულ ლენინელს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს იმისათვის, რომ იგი დაუცხრომლად იბრძვის ხალხთა მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

* * *

გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა განვლო 40 წლის მანძილზე, მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალიზმსა და კომუნიზმს შეუძლიათ აიყვანონ ხალხები ყველაზე მაღალ მწვერვალებზე.

დღესასწაულობენ რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-40 წლისთავს, რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით ავლებენ თვალს სოციალისტური მშენებლობის განვლილ გზას, რომელმაც მიიყვანა ისინი უდიდეს წარმატებებამდე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს მშრომელები უდიდესი მადლობის გრძნობით მიაპყრობენ თვალს ნაცად ბელადს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — სახელოვან კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას. საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, რომ ყველა მიღწევა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში მოპოვებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, დიდი რუსი ხალხის — სსრ კავშირის ხალხთა უფროსი ძმის უანგარო დახმარების მეოხებით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის გულწრფელი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მეოხებით.

საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია, მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას კომუნისტური მშენებლობის დიადი ისტორიული ამოცანების განსახორციელებლად, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი, ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

მთავრდება ძველი ფულის გადაცვლა ახალზე

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის

ცნობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ფასების მასშტაბის შეცვლისა და ძველი ფულის ახალი ფულით გამოცვლის შესახებ დადგენილი იყო, რომ ძველი ნიმუშის ფული სავალდებულოა მიიღონ 1961 წლის 31 მარტამდე ჩათვლით სახელმწიფო, კოოპერაციულმა საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყველა სახეობის გადასახდელისათვის, აგრეთვე ბანკებმა, შემნახველმა სალაროებმა და ფოსტის საწარმოებმა, რათა ანაბრებად, მიმდინარე საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩარიცხონ, გადასაგზავნად და საკრედიტოდ მიიღონ სრულიად შეუზღუდველად მისი ნომინალური ღირებულების მეათედის ანგარიშით.

ამავე დადგენილებით გათვალისწინებული იყო ძველი ნიმუშის ფულის შეუფერხებელი და სრულიად შეუზღუდველი გამოცვლა ახალი ფულით 1961 წლის 1 კვარტალის განმავლობაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისა და მისი გადასაცვლელი პუნქტების მიერ შეფარდებით: ძველი ნიმუშის ფულის 10 მანეთი — ახალი ფულის 1 მანეთი.

ძველი ნიმუშის ფულის მიმოქცევისა და ახალ ფულზე მისი გადაცვლის დადგენილი წესი თავის დროზე გამოცხადდა საყოველთაო ცნობისათვის.

ამის შესაბამისად 1961 წლის მთელი I კვარტალის განმავლობაში ძველი ნიმუშის ფულს დაუბრკოლებლად და სრულიად შეუზღუდველად იღებდნენ ყველგან დაწესებული შეფარდებით ყველა სახეობის გადასახდელისათვის და ახალ ფულზე გადასაცვლელად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობა აცნობებენ მოსახლეობას, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, სასოფლო საბჭოებს, ფოსტის საწარმოებსა და შემნახველ სალაროებს, რომ ძველი ნიმუშის ფულის მიღება ყველა სახეობის გადასახდელისათვის და მისი გამოცვლა მთავრდება 1961 წლის 31 მარტს.

1961 წლის 1 აპრილიდან ყველგან კარგავს თავის საგადამხდელო ძალას და არ მიიღება რაიმე გადასახდელისათვის და გამოსაცვლელად ძველი ნიმუშის ფული:

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 10, 25, 50 და 100 მანეთიანი ბილეთები; სსრ კავშირის სახელმწიფო სახაზინო 1, 3 და 5 მანეთიანი ბილეთები;

1961 წლამდე მოჭრილი 5, 10, 15, 20, 50 კაპიკიანი და 1 მანეთიანი მონეტა.

1961 წლამდე მოჭრილი 1, 2 და 3 კაპიკიანი ხურდა ფული, როგორც ეს დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რჩება მიმოქცევაში და შემდეგში სავალდებულოა მიღება ყველა გადასახდელისათვის ნომინალის მიხედვით ამავე ღირებულების ახალი მონეტის თანაბრად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობა

ვაშინგტონი ადიდებს შეიარაღებას
სეატო ომით ემუქრება ლაოსს

საბჭოთა ფილმების დიდი წარმატება უცხოეთში

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვა

„ბალადა ჯარისკაცზე“, „ოტელო“ ხიბლავს მაყურებელს

დასავლეთი ბერლინი, 28 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იუწყება: აქ დამთავრდა საბჭოთა ფილმების კვირეული, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. შვიდი დღის განმავლობაში დასავლეთბერლინელმა მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა საბჭოთა კინოფილმები — „ბალადა ჯარისკაცზე“, „წყნარი დონი“ (1 სერია), „ოტელო“, „მიფრინავენ წეროები“, „ორმოცდამეერთე“, „ივანე მრისხანე“ და „შინელი“.

კვირეულში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კინომოღვაწეთა დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ სრულიად საკავშირო კონტორის „ექსპორტფილმის“ თავმჯდომარე ა. ნ. დავიდოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ბონდარჩუკი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი პ. გლებოვი, რეჟისორი გ. ჩუხრაი, მსახიობები ე. ბისტრიცკაია, ი. იზვიცკაია, ტ. სამოილოვა, ი. სკობცევა, ვ. ივაშოვი.

საბჭოთა ფილმების კვირეული, რომელიც აქ პირველად მოეწყო, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო დასავლეთ ბერლინის კულტურულ ცხოვრებაში. მან ცხადყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე აქ საბჭოთა კავშირისადმი მტრულ პროპაგანდას ეწევიან, დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კინოხელოვნებისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებისადმი. თითქმის ყველა სეანსის დროს დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. მაყურებლებმა აღფრთოვანებული მიღება მოუწყეს საბჭოთა კინოს მოღვაწეებს, საბჭოთა ფილმებს დიდი ყურადღება დაუთმო დასავლეთ ბერლინის პრესამ. გაზეთების დიდი უმრავლესობა მიესალმა კვირეულის მოწყობას და მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ფილმებს. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა ფილმების ჰუმანური ხასიათი. დასავლეთ ბერლინის გაზეთის „ბ. ც“.-ის პროვოკაციულ გამოსვლას კვირეულის იდეისათვის სახელის გასატეხად მხარი არ დაუჭირეს სხვა გაზეთებმა.

განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა ფილმებმა: „ბალადა ჯარისკაცზე“, „წყნარი დონი“ (1 სერია), „მიფრინავენ წეროები“ და „ოტელო“. პრესამ აღნიშნა, რომ ეს ფილმები მშვენიერია როგორც შინაარსით, ისე მხატვრული შესრულებით და გულში სწვდება ადამიანს.

საბჭოთა ფილმების კვირეულმა ცხადყო აგრეთვე, რომ არის დიდი შესაძლებლობანი დასავლეთ ბერლინისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად. ამ დღეებში საბჭოთა დელეგაციის წევრები შეხვდნენ შილერის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებს, დასავლეთ ბერლინის უდიდესი კინოსტუდიის „ცცც-ფილმის“ მუშაკებს, ხელოვნების აკადემიის მუშაკებსა და დასავლეთ ბერლინის კულტურის სხვა მოღვაწეებს. შეხვედრები მიმდინარეობდა გულითად და მეგობრულ ვითარებაში. დასავლეთ ბერლინის კულტურის მოღვაწეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კვირეულის დროს დამყარებული სასარგებლო კონტაქტები მომავალშიც წარმატებით განვითარდება.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საექსპორტო-გამქირავებელი ფირმის „პეგასუს-ფილმის“ წარმომადგენელმა განაცხადა: საბჭოთა ფილმების კვირეულმა, რომელიც პირველად მოეწყო დასავლეთ ბერლინში, ჩინებულად ჩაიარა. მაყურებელნი ძალიან კარგად შეხვდნენ საბჭოთა ფილმებს. კვირეულმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა და დასავლეთ ბერლინის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინომოღვაწეთა შორის კონტაქტების დამყარებას, საფუძველი ჩაუყარა მათ შემოქმედებითს თანამშრომლობას. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში საბჭოთა ფილმების კვირეული დასავლეთ ბერლინში უფრო ხშირად მოეწყობა. დასაწყისი კარგია.

ცნობილმა დასავლეთბერლინელმა მსახიობმა ვიქტორ დე ვოვამ კვირეულის შესახებ თავის შთაბეჭდილებათა გაზიარების დროს თქვა: კარგი იქნება, რომ მსახიობები, ხელოვნების ყველა მოღვაწენი შრომობდნენ იმისათვის, რომ დააახლოვონ ხალხები, დაეხმარონ მათ უკეთ გაიგონ ერთმანეთი. ხელოვნება აერთიანებს ადამიანებს. ყველაზე კეთილშობილური ამოცანაა ამისათვის შრომა. საბჭოთა ფილმების კვირეული სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მე მოვითხოვ გაფართოვდეს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ბერლინს, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობა კულტურისა და ხელოვნების დარგში.

კინოპროდიუსერმა, კინოფირმის „ცცც-ფილმის“ მფლობელმა არტურ ბრაუნერმა განაცხადა, ჩემს სტუდიას სურს მიიღოს მონაწილეობა მოსკოვის კინოსტუდიასთან ერთად ფილმების შექმნაში.

კოსმოსში ადამიანის გაფრენის ზღურბლზე

რომი, (საკდესი). „განახორციელეს რა ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი, საბჭოთა მეცნიერები კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ჩვენი დროის ყველაზე გაბედული პროგრამის განხორციელებას — კოსმოსში ადამიანის გაფრენას“, წერს იტალიის გაზეთი „მესაჯერო“.

„საბჭოთა ექსპერიმენტების უკანასკნელი წარმატებანი, — აღნიშნავს „კორერა დელა სერა“, — შესაძლებლობას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ კოსმოსური ხომალდის მართვის სისტემა უკვე შემუშავებულია და ყველაფერი მზად არის, რათა საშუალება მიეცეს ადამიანს შევიდეს კოსმოსური ხომალდის კაბინაში“.

გენერალური ასამბლეის XV სესიაზე

ნიუ-იორკი, 28 მარტი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 27 მარტის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა კონგოს რესპუბლიკის მდგომარეობის საკითხის განხილვა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს განის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ურუგვაის, უკრაინის სსრ და კონგოს (დედაქალაქი ბრაზავილი) დელეგატებმა.

ჟანდარმერია ხვრეტს გაფიცულებს

პარიზი, 28 მარტი. (საკდესი). მარტინიკის კუნძულზე (საფრანგეთის სამფლობელო კარიბის ზღვაში) გაჩაღდა სოფლის მეურნეობის მუშათა მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა.

გაფიცვის მონაწილენი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

კუნძულის პოლიციის პრეფექტმა მეწარმეთა განკარგულებაში გაგზავნა ჟანდარმერიისა და არმიის ქვეგანაყოფები, რომლებმაც ქალაქ ლამანტენში ცეცხლი დაუშინეს გაფიცვის მონაწილეებს. ამის შედეგად მოკლულია ოთხი მუშა და დაჭრილია ოცი. სოფლის მეურნეობის მუშათა გაფიცვა უკვე ოთხ კვირაზე მეტი ხანია გრძელდება. მათდამი სოლიდარობის ნიშნად გაიფიცა ქალაქ ფორდე-ფრანსის ყველა მუშა.

მარტინიკის კუნძულის მუშათა კლასი, აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე“, განაგრძობს თავის ბრძოლას, რომელიც მიმართულია მსხვილ მეპატრონეთა და საფრანგეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, მთავრობისა, რომელიც აშკარად მხარს უჭერს ექსპლოატატორებს.

ამერიკა ადიდებს სამხედრო ხარჯებს

ნიუ-იორკი, 28 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ურჩევს თითქმის 2 მილიარდი დოლარით გაადიდონ სამხედრო ხარჯები.

მარტო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ხარჯები მომავალ საბიუჯეტო წელს უნდა გაიზარდოს 890 მილიონი დოლარით და შეადგინოს 43,8 მილიარდი, მაშინ როცა ეიზენჰაუერის მიერ რეკომენდებული თანხა 42,91 მილიარდი დოლარი იყო.

წერილში გამოთქმულია აზრი, რომ გამოყონ დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარი წყალქვეშა ნავებისა და რაკეტების წარმოების დასაჩქარებლად, აგრეთვე 13 ათასი კაცით გაადიდონ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა.

პირადი შემადგენლობის გადიდება ემყარება იმ განზრახვას, რომ განამტკიცონ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უნარი — აწარმოონ „შეზღუდული ომები“.

ჩამოაყალიბა რა თავისი პროგრამა, კენედიმ წერილის ნაწილში, რომლის სათაურია „ძირითადი პოლიტიკა თავდაცვის დარგში“, განაცხადა, რომ მას არ შეუძლია პირობა დადოს, რომ მომავალ წლებში შეერთებული შტატები კიდევ უფრო არ გაადიდებენ სამხედრო ხარჯებს.

თურქულის ეპიზოოტია დასავლეთ ევროპაში

რომი, 28 მარტი. (საკდესი). როგორც გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაცია იუწყება, დასავლეთ ევროპაში ვრცელდება თურქულის ეპიზოოტია, რომელიც პირუტყვის ძლიერ გაწყდომას იწვევს. ყველაზე მეტად დაზარალდნენ იტალია, საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია და ინგლისი. იტალიაში უკვე იძულებული გახდნენ დაეკლათ 70 ათასი სული პირუტყვი.

უცხოეთის ქრონიკა

★ პარიზში მყოფი ლაოსის მთავრობის მეთაური პრინცი სუვანა ფუმა შეხვდა ინდოეთის ელჩს ნავაბ ალი იავარ ჯანგს. იგი ესაუბრა სსრ კავშირის ელჩს ს. ა. ვინოგრადოვს, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ელჩსა და ინგლისის საელჩოს მდივანს.

★ როგორც კაიროდან იუწყებიან, 27 მარტს თავს დაესხნენ იემენის მეფე იმამ აჰმედს. მეფეს ესროლეს იმ დროს, როცა თავის სასახლეში ბრუნდებოდა მეწამული ზღვის ნავსადგურ ჰოდეიდიდან. მეფე უვნებელი დარჩა, მისი თანხლები რამდენიმე პირი დაიჭრა.

★ 26 მარტს ღამით მძლავრი ციკლონი დაატყდა თავს ფორტ-დოფინის ნავსადგურს, რომელიც მადაგასკარის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. გრიგალმა დაანგრია ქალაქი. განსაკუთრებით დაზიანდა საავადმყოფოსა და აეროკლუბის შენობები.

★ შვეციის პრემიერ-მინისტრი ერლანდერი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა. (საკდესი).

★ ლონდონი, 29 მარტი. (საკდესი). გუშინ ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II დაამტკიცა პარლამენტის ორივე პალატის მიერ მიღებული კანონი, რომლის თანახმად მიმდინარე წლის 27 აპრილიდან ინგლისის კოლონია სიერა-ლეონეს მიენიჭება დამოუკიდებლობა.

სეატოს ზეგავლენა საფრანგეთზე

ნიუ-იორკი, 28 მარტი. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ სეატოს საბჭოს სესიის დღევანდელ დახურულ სხდომაზე განიხილავდნენ ლაოსში არსებულ მდგომარეობას.

თუმცა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან, სეატოს საბჭოს სესიის მოწვევის დაჩქარებამ რამდენადმე დაკარგა აზრი მოსკოვიდან მიღებული ცნობის შემდეგ (მხედველობაშია გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც განმარტავს საბჭოთა კავშირის პოზიციას ლაოსის საკითხში. — რედ.) და მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი ვაშინგტონში შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. გრომიკოს, მაგრამ საბჭოს წევრები, როგორც ვარაუდობენ, კვლავ ზეგავლენას ახდენენ საფრანგეთზე, რათა იგი დათანხმდეს სამხედრო ინტერვენციაზე ლაოსში, თუ მშვიდობიან მოწესრიგებას ვერ მიაღწევენ.

სეატოს საბჭოს გუშინდელ სხდომაზე, აღნიშნავს კორესპონდენტი, სეატოს წევრმა ყველა ქვეყანამ, გარდა საფრანგეთისა, მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ გამოყენებულ იქნეს შეიარაღებული ძალა ლაოსში „საჭიროების შემთხვევაში“.

წერილი ესპანეთის საპყრობილედან

პარიზი, 28 მარტი. (საკდესი). „ესპანეთის საპყრობილეებიდან უაღრესად მხურვალე სალამს ვუძღვნით თქვენი კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს“, — ნათქვამია ესპანელ პოლიტიკურ პატიმართა წერილში, რომელიც გაეგზავნა დასავლეთ ევროპის კონფერენციის მონაწილეებს. კონფერენცია გაიმართა პარიზში ესპანელი პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტიკური ემიგრანტებისათვის ამნისტიის მინიჭების მოთხოვნის მხარდასაჭერად.

წერილში, რომელიც გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა, კერძოდ, ნათქვამია:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სწორად გადმოგცემთ ჩვენი ქვეყნის ათასობით პატიმრის, ქალისა და კაცის, ყოველი რწმენისა და სარწმუნოების ადამიანების გრძნობებს, მადლობას გიძღვნით ყველაზე თვალსაჩინო წამოწყებისათვის ადამიანთა სოლიდარობისა და ძმობის დარგში, რომელსაც თქვენს ღონისძიებებს ახმართ. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი კეთილშობილური წამოწყება ნაყოფს გამოიღებს და საგრძნობ გავლენას მოახდენს ესპანელი პოლიტიკური პატიმრების ბედზე“.

წერილს ხელს აწერენ ესპანეთის სხვადასხვა საპყრობილეში მყოფნი — კომუნისტი სიმონ სანჩეს მონტერო, რომელსაც მისჯილი აქვს 20 წლისა და ერთი დღის პატიმრობა, სოციალისტი ანტონიონ ამატი, რომელიც წინასწარ პატიმრობას იხდის, კათოლიკე ხულიო სერონ აიიუსო, რომელსაც მისჯილი აქვს რვა წლის პატიმრობა.

თურქეთში ნებადართულია პოლიტიკური მოღვაწეობა

ანკარა, (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა გენერალ გიურსელის ხელმოწერით, რომელშიც ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან თურქეთში ნაწილობრივ ნებადართულია პოლიტიკური მოღვაწეობა. პოლიტიკურ პარტიებს, კერძოდ, ნება დაერთოთ დახურულ შენობებში მოაწყონ ყრილობები, ვილაიეთის ორგანიზაციათა კრებები, აგრეთვე შექმნან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. მაგრამ პარტიებს კატეგორიულად აეკრძალათ გამართონ მიტინგები და კრებები ღია ცის ქვეშ.



ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილში“ გამოქვეყნებულ ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილია სამარცხვინო ცერემონია ინგლისელ ჯარისკაცთა ჯგუფის წვრთნის დაწყებისა დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერში. სულ ცოტა ხნის წინათ ხომ ამ ინგლისელი ჯარისკაცების მამები და უფროსი ძმები იბრძოდნენ გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ, რომელთა მემკვიდრეა ბუნდესვერი.

ფოტოსურათი გაზეთ „დეილი მეილიდან“.

მ. ბოტვინიკმა დააშამათა მ. ტალის მეფე



მოსკოვი. 29 მარტი. (ტელეფონით). მატჩ-რევანშს ყოველ პარტიაში სენსაციური შედეგი მოაქვს. გაზეთებში, უმეტესად საზღვარგარეთის პრესაში, ხშირად წააწყდებით ასეთ სათაურებს — „ტალი ცაიტნოტშია“, „მსოფლიოს ჩემპიონს არ ყოფნის დრო“. ეს კი მართლაც მოულოდნელია, უკვე ათი წელია ცაიტნოტი აწუხებს ბოტვინიკს, ხოლო მეორეს მხრივ ტალმა სახელი გაითქვა ელვისებური თამაშით. ამის ნათელი დადასტურება იყო შარშანდელი მატჩი. ბოტვინიკის ხანგრძლივი ფიქრი მხოლოდ მის ახალგაზრდა მეტოქეს უწყობდა ხელს. ყოველ პარტიაში ბოტვინიკი ადრე ხარჯავდა სვლების მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს და იძულებული ხდებოდა შეხვედრის დასკვნით ნაწილში ელვისებურად ეთამაშა. მას ერთი წუთითაც კი არ შეეძლო დაფას მოშორებოდა. ტალის თვითეული მოულოდნელი სვლა ბოტვინიკისათვის თითქმის კატასტროფას უდრიდა. ტალისათვის თითქმის არც კი არსებობდა საჭადრაკო საათი. იგი სწრაფად და თავისუფლად თამაშობდა. ყოველთვის ჰქონდა დროის მარაგი, ამიტომ გარანტირებული იყო ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

გავიდა წელი და თითქოს „ჯადოსნური ლამპარის“ მოქმედებით ყველაფერი შეიცვალა, ბოტვინიკის „ავადმყოფობით“ ტალი „დაავადდა“, ამავე დროს ყველა ის უპირატესობა, რაც შარშან ტალს ჰქონდა, ამჟამად მსოფლიოს ექს-ჩემპიონს აქვს.

ჩვენს წარმოდგენაში ტალი და იერიში განუყოფელი მცნებები იყო. მთელი შარშანდელი მატჩის მანძილზე ბოტვინიკი იძულებული იყო ძნელი დაცვა ეწარმოებინა. მიმდინარე შეხვედრებში კი მსოფლიოს ჩემპიონი ერთხელაც კი არ გამხდარა მდგომარეობის ბატონ-პატრონი. ამჯერად კი მუდმივად ბოტვინიკს მიაქვს იერიში და მერე როგორი იერიში!

მეშვიდე პარტია თეთრებით მოთამაშე ბოტვინიკმა ბრწყინვალედ ჩაატარა. ნიმცოვიჩის დაცვის წინააღმდეგ მან უმწვავესი ვარიანტი გამოიყენა, მიიღო უძლიერესი იერიში და უკვე 33-ე სვლაზე დაამათა მოწინააღმდეგის მეფე.

თქვენ წარმოგიდგენიათ მსოფლიოს ჩემპიონმა მიიღოს შამათი?! და ამ შამათის ავტორი არის ბოტვინიკი, რომელიც ჩვეულებრივად იმარჯვებს ხოლმე მცირე უპირატესობის ხანგრძლივი, მეთოდური გამოყენებით. ანგარიშია 4,5 : 2,5 ექსჩემპიონის სასარგებლოდ.

რასაკვირველია მსოფლიოს ჩემპიონი ჯერჯერობით რამდენადმე უფერულად თამაშობს, მაგრამ ჭადრაკის გულშემატკივრები მოელიან, რომ ამ წაგების შემდეგ იგი თავს დააღწევს კრიზისს და ნამდვილ „ტალისებურ“ პარტიებს შექმნის.

მორიგი მერვე პარტია შედგება 31 მარტს, თეთრებით ითამაშებს ტალი.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

მეორე შეხვედრა ბუქარესტში

როგორც ცნობილია, რუმინეთში გამოდის საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. პირველი მატჩი ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა გამართეს ბუქარესტში ადგილობრივ ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4,5:3,5.

მეორე შეხვედრა ჩვენს სპორტსმენებს ჰქონდათ 28 მარტს ბუქარესტში თითქმის იმავე გუნდთან (შეცვლილი იყვნენ უმჩატესი, ქვემსუბუქი და საშუალო წონის მოჭიდავენი).

გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია ქ. ბრაშოვში ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ვ. სამსონაძეს, აი რა გვაცნობა მან:

ეს-ეს არის დავბრუნდით ბუქარესტიდან, იქ გამართულმა მეორე მატჩმა რუმინელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ბუნებრივია, მათ რევანშის დიდი სურვილი ჰქონდათ და კიდევაც მიაღწიეს მას. პირველი გამარჯვება და ქულა რუმინელებს მოუტანა ამ ქვეყნის ჩემპიონმა უმჩატეს წონაში საბადიმ. მან ქულებით დაამარცხა შეყრილაძე. ქულებით დამარცხება განიცადეს აგრეთვე ეგაძემ და სეფაშვილმა ჩერნეასთან და ჯინთან.

შეუპოვარი იყო ქორიძისა და ბულარკას შეხვედრა. ბოლო წამებში რუმინელმა შეძლო მოწინააღმდეგის ჩოქბრჯენში ჩაყენება და ქულებით გაიმარჯვა.

ძლიერად ჩაატარა შეჯიბრება გვანცელაძემ რუმინეთის ჩემპიონის ბაჩანის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. გველესიანისა და პოპოვიჩის ორთაბრძოლაში ფიქსირებულ იქნა ფრე, ხოლო აბაშიძემ მოუგო მარტინესკუს.

ამრიგად, რუმინელებმა მეორე შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 5:3, მესამე შეხვედრა გვექნება 30 მარტს ქ. ბრაშოვში ადგილობრივ ნაკრებთან, რომელიც გაძლიერებულია პირველი ორი შეხვედრის მონაწილეებით.



ახალი საავადმყოფო

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 200-საწოლიანი სომატური საავადმყოფო თავისივე პოლიკლინიკითა და აფთიაქით.

ჯანმრთელობის დაცვის ეს ახალი შესანიშნავი კერა, რომლის აგებაზე 14 მილიონი მანეთი (ძველი ფულით) დაიხარჯა, ოთხსართულიანია და ბევრ ოთახს ითვლის. საავადმყოფოს აქვს თერაპიული, ზოგადქირურგიული, ტრავმატოლოგიური, უროლოგიური და ყელ-ყურის განყოფილებები, უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი კაბინეტები და ლაბორატორიები. აქვე, ქუთაისში პირველად, მოეწყო ავადმყოფთა მკურნალობა წყლითა და ტალახით.

ახალ საავადმყოფოში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 500-მდე მუშაკი, მათ შორის 54 ექიმი.

სურათზე: ახალი საავადმყოფოს შენობის ხედი. ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ლატარიის ბილეთით— „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, სახლი...

საქართველოს სსრ შემნახველი სალაროები და სავაჭრო ორგანიზაციები შეუდგნენ საქართველოს სსრ 1961 წლის პირველი გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა განაღდებას.

უკვე გამოჩნდნენ პირველი „იღბლიანები“.

თბილისის ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში მე-5 ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა გ. ბაქრაძემ წარადგინა 62427 სერიის № 232 ბილეთი, რომელსაც ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

ქობულეთის რაიონის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა ზურაბ გოგუაძემ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა 61505 სერიის № 169 ბილეთი, რომელმაც მოიგო ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

მიმდინარეობს განაღდება ლატარიის ბევრი ბილეთისა, რომლებსაც ხვდათ რადიოლები, ტელევიზორები, მაცივრები და სხვა ძვირფასი ნივთები.

ონი, 29 მარტი. (საკდესი). ონის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა მ. დავლიანიძემ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთით მოიგო ერთბინიანი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლი. სახლის ღირებულება შეადგენს 5.000 მანეთს ახალი ფულით.

საკონტროლო მატჩები ფეხბურთში

ერევანში შედგა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. ადგილობრივი სპარტაკელები შეხვდნენ მინსკის „ბელარუსის“ გუნდს. გაიმარჯვეს მინსკელებმა ანგარიშით 4:0.

მოსკოვისა და ვილნიუსის სპარტაკელებმა კისლოვოდსკში ჩაატარეს საკონტროლო მატჩი. შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 2:0. უკანასკნელ საკონტროლო შეჯიბრებას მოსკოვის სპარტაკელები გამართავენ თბილისში ადგილობრივ „დინამოსთან“ 1 აპრილს.

სოხუმში თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლუგანსკის „შრომითი რეზერვების“ გუნდები. ცსკა-ს თავდამსხმელებმა (აპუხტინი, ბუბუკინი, ფედოტოვი, მამიკინი და ოვივიანი) ვერ შეძლეს ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ბერლინი უსმენს „დაისს“, „საჩიდაოს“...

ო. დიმიტრიადის გასტროლები გერმანიაში

ამჟამად თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი დიმიტრიადი ბერლინში, ლაიპციგსა და დრეზდენში გამოდის ამ ქალაქის სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. პროგრამაშია: ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია, შოსტაკოვიჩის მე-10 სიმფონია, ბერლიოზის ფანტასტიკური სიმფონია, ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ შესავალი და კომპოზიტორ ლაღიძის „საჩიდაო“, აგრეთვე თანამედროვე ახალგაზრდა გერმანელი კომპოზიტორის ვოლგემუტის ნაწარმოები.

ბერლინიდან და მოსკოვიდან მიღებული ცნობებით, ოდისეი დიმიტრიადის კონცერტებს დიდი წარმატება აქვს. მიღებულია აგრეთვე გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგში“ მოთავსებული რეცენზია, რომელიც ქვემოთ მოგვყავს:

„საბჭოთა დირიჟორმა ოდისეი დიმიტრიადიმ პირველად გამართა კონცერტი ბერლინის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ამ კონცერტის შემდეგ ამ მსახიობის სახელი, რომელიც აქ დღემდე არ გვსმენია, მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე ცნება გახდა ჩვენთვის.

ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია, რომელიც მრავალჯერ შესრულებულა, ო. დიმიტრიადის შესრულებით სულ ახლებურად განვიცადეთ: ეს არის მგზნებარე სიმფონიური დრამა, ფსიქოლოგიური აღსარება, სადაც დირიჟორმა გააერთიანა ბგერის ჩანაწერის უნატიფესი სიწმინდე და ცეცხლოვანი ტემპერამენტი.

დიმიტრიადი ბგერისა და ორკესტრის გამოჩენილი ოსტატია, რომელსაც ერთნაირი აღფრთოვანებით მიჰყვებოდნენ როგორც ორკესტრის მსახიობები, ისე მრავალი მსმენელი“.

ბუნების საოცრება

ვულკანის ამოფრქვევა კამჩატკაზე

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 28 მარტი. (საკდესი). კამჩატკის ცენტრალურ ნაწილში მოხდა ცნობილი კლიუჩის ვულკანის მეზობლის უსახელო ვულკანის ამოფრქვევა. ამოფრქვევა დაიწყო 25 მარტს ღამით და 27 მარტს წინასწარი მონაცემებით, დამთავრდა.

საკდესის კორესპონდენტი დაუკავშირდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კამჩატკის ვულკანოლოგიურ სადგურს, რომელიც მდებარეობს სოფელ კლიუჩში.

— ამ ამოფრქვევას ჩვენ მოველოდით, — განაცხადა სადგურის მეცნიერმა თანამშრომელმა პ. ი. ტოკარევმა. — სეისმოგრაფებმა ჩანიშნეს მთელი რიგი მიწისქვეშა ბიძგები, რომელთა სიხშირე დღითი დღე თანდათანობით მატულობდა. ჩვენი გაანგარიშებით, უსახელო ვულკანის ამოფრქვევა უნდა დაწყებულიყო მარტის დამლევს. და აი 25 მარტს დღისით ვულკანზე გამოჩნდა ამონახეთქი გაზები, რომლებსაც სოკოსებრი ფორმა ჰქონდათ, ხოლო 26 მარტს ღამით დაიწყო ამოფრქვევა.

დაკვირვებას აწარმოებდა ჩვენი თანამშრომელი ვ. ა. არისტარხოვი, რომელიც იმყოფებოდა სადგურის სპეციალურ სამეთვალყურეო პუნქტში თოთხმეტ კილომეტრზე დაშორებით. უსახელო ვულკანის ამოფრქვევის ძალა თანდათან მატულობდა. დილისათვის ვულკანიდან ამოვარდა ფერფლისა და გახურებული გაზების შვიდი კილომეტრის სიმაღლის სვეტი. ფერფლის ღრუბლებმა დაფარეს ცა. ისმოდა ჭექა-ქუხილი, ელავდა. დაბა კლიუჩის თავზე — უსახელო ვულკანიდან 40 კილომეტრზე ჩამოწვა ბინდი, თოვლი დაიფარა ვულკანური ფერფლით.

ასე გაგრძელდა დღის 3 საათამდე. ერთი საათის შემდეგ ცამ დაიწყო მოწმენდა. საღამოს ვარსკვლავები გამოჩნდნენ. 27 მარტს ამოფრქვევა შენელდა. ახლა ვულკანი ნორმალურად იქცევა — მის თავზე პატარა გაზის ღრუბელია.

დღეს უსახელო ვულკანისაკენ გაემგზავრა ვულკანოლოგთა რაზმი სადგურის უფროსის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ე. კ. მარხინინის მეთაურობით.

საინტერესოა, რომ ასეული წლების მანძილზე უსახელო ვულკანს ჩამქრალად თვლიდნენ. 1955 წლის შემოდგომიდან ვულკანმა თავი გამოამჟღავნა სეისმური ბიძგებითა და ფერფლცვენით. 1956 წლის 30 მარტს, ესე იგი ზუსტად ხუთი წლის წინათ, მოხდა უსახელო ვულკანის ძლიერი ამოფრქვევა. მას შემდეგ ვულკანი მოქმედებს.

უკანასკნელ ამოფრქვევას, ისევე როგორც წარსულ ამოფრქვევებს, არავითარი უბედურება არ მოუტანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მცხოვრებნი იმასაც კი ამბობენ, უხვი ფერფლცვენა კარგად ანოყიერებს ნიადაგს და ხელს შეუწყობს თოვლის სწრაფ დნობასო. დღეს კლიუჩის თავზე ცა ჩვეულებრივ მოწმენდილია.

1961 წლის 30 მარტს საღამოს 5 საათზე საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში გაიხსნება ფოტოგამოფენა „იტალია დღეს“, რომელსაც აწყობს „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი 6-გვერდიანია.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

30 მარტი



თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დაუპატიჟებელი სტუმრები (დღისით), ჟიზელი (მე-3 აბონ. მე-7 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ქარიშხალში, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), მღელვარე დღეები (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ბედნიერი უიღბლო, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (დღისით რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — იყალთოელი ბიჭები (აბონ, № 5., 12 ს.), ნევის შევარდენი — (აბონ. № 23., 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ჭაჭანა (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — გიორგი ტორონელიძე (ფორტეპიანო), **ფილარმონიის საზამთრო** — საესტრადო მუსიკალური კომედია „მოუსვენარი დასვენება“.

ტელევიზია: 12.00 — თბილისის მეათე მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტი, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „შენი სიმღერა“, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — ციკლიდან — „წიგნის თარო“ (საბავშვო წიგნის კვირეულთან დაკავშირებით), 19.00 — გადაცემა — „ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის“, 19.15 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე — „ახალგაზრდობას სურს იცოდეს“, 19.30 — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის კონცერტის ტრანსლაცია, ანტრაქტში — ახალი ამბები.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-68-08, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-78-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-23-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

უე 05496

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.